# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 სექტემბერი 2008 №203 (3427) ფასი 50 თეთრი

## ექტორ კუპერი ჯერ მამასავითაა: შვილებივით, არავინ გამოერჩევა



## ! პარანორმალური მოვლენა თუ პარანოია: 260 000 000 დოლარი !

### არაბები ფეხბურთს ოლიგარქებით აწვებიან




„აბუ დაბის ჯგუფის“ შეფმა, დოქტორმა სულეიმან ალ ფაჰიმმა, ვინაც ახლახან „მანჩესტერ სიტი“ შეიძინა, გამაოგნებელი რამ განაცხადა: მზად ვარ, კრიშტიანუ რონალდუს სანაცვლოდ 135 მილიონი გირვანქა გადავიხადოო.

135 მილიონი გირვანქა 260 მილიონი დოლარია, ასეთი თანხა კი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტოა. ჯერჯერობით უცნობია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ პოზიცია, თუმცა წარმოუდგენელია, თავისი თანაქალაქელისა და მტრის ასეთი თამამი განცხადება ყურიდან ყურში გაატაროს.

ვნახოთ, ემანდ, არაბულმა ფულებმა ინგლისური ფეხბურთი არ აატრიალოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე იაშვილმა (მარჯვნივ) ვარჯიში ვერ ჩაამთავრა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# სრულ გუნდს იაშვილი გამოაკლდა

**მოლოდინისამებრ,** გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა — მაინცში მყოფ ჩვენს ეროვნულ გუნდს გზაში შეყოვნებული რუბინელები, დავით კვირკველია და ლაშა სალუქვაძე შეუერთდნენ და ექტორ რაულ კუპერმაც მთელი გუნდი გაიყვანა მოედანზე.

ერთადერთი უსიამოვნო ამბავი ისაა, რომ წვრთნა ვერ დაასრულა „კარლსრუეს" შემტევმა ალექსანდრე იაშვილმა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, იაშვილი ერთ ეპიზოდში ცუდად დახტა და ფეხი იტკინა.

ნაკრების ექიმებმა მას დასვენება ორჩიეს და იაშვილმაც საღამოს ვარჯიში გამოტოვა.

როგორ იქნება მისი ჯანმრთელობის საქმე, დღეს შუადღემდე გაირკვევა.

6 სექტემბრის მოახლოებასთან ერთად ექტორ რაულ კუპერი ბიჭებს დატვირთვებს უმცირებს და მთავარი ყურადღება ტაქტიკურ ვარჯიშებზე გადააქვს.

ჯერჯერობით მწვრთნელი სასტარტო თერთმეტეულის გამორჩევას არ ჩქარობს და ვარჯიშებშიც ყველა ფეხბურთელი თანაბრად ინაწილებს სამუშაოებს. არგენტინელი სპეციალისტი ბოლო დღემდე ასე აპირებს გაგრძელებას, რათა ფეხბურთელებს კონცენტრაცია არ დაეკარგოთ და ყველას ჰქონდეს ძირითადში მოხვედრის შანსი.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# იტალიამ საქართველოს განსაკუთრებულად შეხედა

**10 სექტემბერს** იტალია — საქართველო გაიმართება და იტალიური სააგენტოების ცნობით, ეს მატჩი განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების დაცვით ჩატარდება.

ქალაქ უდინეს ხელმძღვანელობა უკვე ნაყოფიერად მუშაობს ამ საკითხზე და დარწმუნებულია, რომ ექსცესები არ მოხდება.

როგორც ჟურნალისტები წერენ, იტალიელებმა ასეთი გადაწყვეტილება საქართველოში შექმნილი საომარი მოქმედებების გამო მიიღეს.

# ტექნიკა და გუნდური თამაში

## ლევან ყენია: ირლანდია თავდასხმაში უფრო ძლიერია

საქართველოს ნაკრების უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ლევან ყენია საირლანდიოდ ემზადება. მაინცის „ბრუხვეგშტადიონზე" მისგან კვლავ ლამაზ და პროდუქტიულ თამაშს ველით. გელზენკირხენის „შალკეს" გამთამაშებელი იმედიანადაა, ირლანდია სულაც არ არის დაუმარცხებელი მეტოქე, მით უმეტეს, კარგად ვემზადებით და ყველანი მწყობრში ვართო. ყენიას გერმანიაში დავუკავშირდით...



ბადრი კეთილაძის ფოტო

— როგორი განწყობა გაქვს ირლანდიასთან მატჩის წინ?

— მეც და ყველა ფეხბურთელიც თავს გადავდებთ ამ მატჩის მოსაგებად. შესარჩევი ციკლის პირველი მატჩია და ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დაიწყებ ციკლს — მოგება დიდ სტიმულს შეგვძენს.

— ირლანდიის თამაში თუ ნახეთ ფირზე?

— დიახ. კარგი გუნდია, სწრაფ ფეხბურთს თამაშობს, განსაკუთრებით მათი თავდამსხმელი მომეწონა.

— რობი კინი?

— კინიც და მეორე თავდამსხმელიც, კევინ დოილიც. სწრაფი ფორვარდები არიან, ბევრს მოძრაობენ.

— ირლანდიელები ტიპიურ ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობენ თუ სხვა საინტერესო ელემენტებიც ნახეთ?

— ვერ ვიტყვი, რომ სულ მაღალ ჩაწოდებებზე არიან, თუმცა მაინცდამაინც არც დაბლა თამაში უყვართ.

— და როგორ შეიძლება ირლანდიის დამარცხება?

— პირველ რიგში, ბრძოლით. ჩვენი თამაში უნდა გავიტანოთ. საქართველო ირლანდიაზე ტექნიკური გუნდია და ეს უნდა გამოვიყენოთ. ტექნიკით და გუნდური თამაშით უნდა ვაჯობოთ.

— ისე, შოტლანდიასაც მოუგეთ და უელსსაც. ირლანდია კი ძალიან ჰგავს მათ თამაშის მანერით...

— კარგი სტატისტიკაა, მაგრამ მოსაგებად დიდი ბრძოლაა საჭირო. ჩვენ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, ირლანდია დაუმარცხებელი გუნდი არ არის და ვნახოთ, რა გამოვა...

**ილია ნანობაშვილი**

# ირლანდიამ საქართველოს შოტლანდიასთან ნახა

**ირლანდიის** ნაკრები 6 სექტემბრის მაინცური მატჩისთვის ემზადება და ამ პროცესში რამდენიმე ცვლილება აქვს.



მოულოდნელად, გუნდის ვარჯიშზე გამოჩნდა კევინ კილბეინი, რომელსაც, თავდაპირველი ინფორმაციით, ტრავმის გამო ერთი თვე უნდა გამოეტოვებინა.

„კევინს ვესაუბრე და მითხრა, რომ საქართველოსთან თამაშისთვის მზადაა, შაბათს მას მოედანზე იხილავთ" — განუცხადა ჟურნალისტებს ირლანდიელთა იტალიელმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

გუშინდელ ვარჯიშზე არ დატვირთულა „მანჩესტერ სიტის" მცველი რიჩარდ დანი, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, თუმც საშაბათო მატჩისთვის მის თამაშს არ გამორიცხავენ.

სრული დატვირთვით ივარჯიშა სტივენ ჰანტმა, რომელიც, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ტრავმირებულ დემიენ დაფს შეცვლის. ჰანტი ცუდ განწყობაზეა, რადგან მისმა კლუბმა „რედინგმა" ხელი შეუშალა, „ევერტონში" გადასულიყო, თუმც საქართველოსთან თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ახალ მწვრთნელსაც აქებს.

„ახალმა მწვრთნელმა ახალი იდეები მოიტანა, რომელთა განხორციელებასაც დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ. გამარჯვებით დაწყება საქმის ნახევარია და საქართველოსთან თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. შოტლანდიასთან მათი ორივე შეხვედრა ნანახი მაქვს. იმედია, მწვრთნელი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს და გაგვიანალიზებს" — აღნიშნა ჰანტმა.

ირლანდიელები ჩვენების შემდეგ, 10 სექტემბერს ჩერნოგორიას გაეჯიბრებიან. ტრაპატონის განკარგულებაში ამ მატჩებისთვის 22 ფეხბურთელია:

*მეკარეები:* შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კილი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი);

*მცველები:* ალექს ბრიუსი (იფსვიჩი, ინგლისი), დამიენ დელანი (ქუინზ პარკი, ინგლისი), რიჩარდ დანი (სიტი, ინგლისი), სტივ ფინანი (ესპანიოლი, ესპანეთი), სტივენ კელი (ბირმინგემი, ინგლისი), კევინ კილბეინი (უიგანი, ინგლისი), ჯოი ობრაიანი (ბოლტონი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (ჰალი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), ეიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), ლაიამ მილერი (სანდერლენდი, ინგლისი), ენდი რიდი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივენ რიდი (ბლექბერნი, ინგლისი), გლენ ველანი (სტოკი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* კევინ დოილი (რედინგი, ინგლისი), რობი კინი (ლივერპული, ინგლისი), ენდი კეოფი (ვულვზი, ინგლისი), შეინ ლონგი (რედინგი, ინგლისი), დარელ მერფი (სანდერლენდი, ინგლისი).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მაინცში ბილეთები უკვე გადანაწილდა

**საქართველოში** დატრიალებული ბოლოდროინდელი მოვლენების გამო ირლანდიასთან მატჩი 6 სექტემბერს მაინცში გაიმართება. ფედერაციები კი ბილეთების განაწილებაზე შეთანხმდნენ: ქართველ გულშემატკივრებზე 2 500 ბილეთი გაიყიდება, ირლანდიელებზე — 4 850.

დანარჩენი ადგილები ადგილობრივებისთვის არის განკუთვნილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### იაპონია

თასი

ნაგოია 1:1 ოიტა

შიმიცუ 1:1 გამბა

### ესპანეთი

თასი

სოსიედადი 1:0 სარაგოსა

სალამანკა 2:1 ლას პალმასი

კასტელონი 1:0 ეიბარი

ელჩე 2:0 ალავესი

ტარაგონა 0:2 ხირონა

სერესი 1:1დ.დ. (1:3პ, 1:1) მურსია

ტენერიფე 2:1 კორდობა

ჰერკულესი 2:1დ.დ. (1:1) ლევანტე

ჰუესკა 1:3დ.დ. (1:1) ვალეკანო

### შოტლანდია

I დივიზიონი

ძუინი 1:0 როსი

### ინგლისი

სამხრეთ კონფერენსი

ნიუპორტი 0:2 ჰევანტი

LDV ვანს ტროფი

ჩესტერფილდი 2:2 (1:4პ) გრიმსბი

### საფრანგეთი

თასი

ვანი 3:0 დიჟონი

ისტრი 1:1დ.დ. (3:4პ, 1:1) გენიონი

კრეტეი 2:1 ნიორი

ლიბურნი 0:2 ნიმი

ტუარი 1:2დ.დ. (1:1) ბულონი

### პოლონეთი

თასი. A ჯგუფი

გლივიცე 1:2 კრაკოვია

ვისლა 0:4 სლასკი

B ჯგუფი

ოდრა 2:1 ბიტომი

### დანია

I დივიზიონი

კოლდინგი 2:2 ფრემი




# რუსეთი საქართველოს უსამართლოდ ექცევა

## თუ ნაკრებში მიმიწვევენ, მზად ვარ, დავილაპარაკოთ

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიო შეძრა. რუსული არმიის ნაწილი ისევ რჩება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მათი აქ ყოფნის დღეები დათვლილია.

ქართული ფეხბურთიც ნელ-ნელა ილვიძებს. „ზესტაფონის" ბრაზილიელი მოთამაშეები — ჟილვან ვიეირა, ედსონ სანტოსი და ჟონატას ტორესი — ომიანობისას სარფში წავიდნენ და რამდენიმე დღეა, რაც გუნდს დაუბრუნდნენ. ვიეირამ 30 აგვისტოს სათასო მატჩშიც ითამაშა და გუშინაც, როცა „ჭიათურას" გაეჯიბრნენ ამხანაგურად. იმერელთა მარცხენაფლანგელს ნამატჩევს გავესაუბრეთ...



— პირველ ყოვლისა, მინდა, ვთქვა, რომ რუსეთი საქართველოს უსამართლოდ ექცევა. რუსული ჯარის მოქმედებები მხოლოდ უარყოფით ემოციებს იწვევს. მინდა, იცოდეს ქართველმა ხალხმა, რომ მიყვარს საქართველო და ქართველები.

— რამდენიმე დღე სარფში იყავით. სამშობლოში რატომ არ წახვედით?

— მეც, სანტოსსაც და ტორესსაც გვირეკავდნენ ოჯახის წევრები და გვთხოვდნენ, ბრაზილიაში დავბრუნებულიყავით, მაგრამ გვჯეროდა, რომ სიტუაცია მალე დაწყნარდებოდა. სხვათა შორის, ბრაზილიელმა ჟურნალისტებმაც დამირეკეს და საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მკითხეს. ისინიც შეწუხებულები იყვნენ აქაური არეულობით.

— სარფში თუ ვარჯიშობდით?

— მსუბუქად, ბურთთან ერთად.

— კულუარული ინფორმაცია გვაქვს, რომ შესაძლოა, საქართველოს ნაკრებში თამაში შემოგთავაზონ. ასეთი წინადადება რომ მიიღოთ, დათანხმდებით?

— სიმართლე გითხრათ, პირველად მესმის. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, თუ ასეთი დაინტერესება ჩემ მიმართ. სასაუბროდ მზად ვარ, სხვას ვერაფერს გეტყვით.

— იძულებითი პაუზის მერე „ზესტაფონმა" ორი მატჩი გამართა. ალბათ, გუნდს ეტყობა გაცდენილი დროის კვალი...

— რა თქმა უნდა, ეს თვალშისაცემია, თუმც მთელი გუნდი ახლა მაქსიმალურად არის მობილიზებული და ჩემპიონატს კარგ ფორმაში უნდა შევხვდეთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# უელსური ნახტომი

## საქართველომ 9 ადგილით აიწია

**საქართველოს** ნაკრების მიერ უელსის ძლევამ ფიფას რეიტინგში 9 საფეხურით დაწინაურების საშუალება მოგვცა და ახლა ჩვენი ეროვნული გუნდი 77-ე ადგილზეა.

ჩვენი თანაჯგუფელებიდან მხოლოდ კვიპროსი (-3) დაქვეითდა, იტალია და ბულგარეთი თითო საფეხურით დაწინაურდნენ, ირლანდია — სამით, ხოლო ჩერნოგორია ყოველთვე პროგრესირებს და ამჟამად 7 საფეხურით აიწია.

ათეულში კი მცირე ცვლილებებია — იტალიამ მეორე ადგილიდან მესამეზე ჩამოაგდო გერმანელები, ხოლო თურქებმა ათეულიდან რუსები გამოაძევეს.

ჰო, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პირველი ხუთი ადგილი ევროპელებისაა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**FIFA Coca-Cola WORLD RANKING**

| I | II | III | IV |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1565 |
| 2 | 3 | *იტალია* | 1339 |
| 3 | 2 | გერმანია | 1329 |
| 4 | 4 | ჰოლანდია | 1295 |
| 5 | 5 | ხორვატია | 1266 |
| 6 | 6 | ბრაზილია | 1252 |
| 7 | 7 | არგენტინა | 1230 |
| 8 | 8 | ჩეხეთი | 1134 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 1120 |
| 10 | 13 | თურქეთი | 1033 |
| 16 | 17 | *ბულგარეთი* | 976 |
| 38 | 41 | *ირლანდია* | 662 |
| 65 | 62 | *კვიპროსი* | 476 |
| 77 | 86 | საქართველო | 421 |
| 136 | 143 | *ჩერნოგორია* | 198 |

I გრაფა – ადგილი;
II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

# იმერეთი 2:1 ზემო იმერეთი

**სულ** ცოტა დრო დარჩა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე და გუნდებიც გამალებით ემზადებიან.

გუშინ „ზესტაფონი" ამხანაგურად პირველლიგელ „ჭიათურას" დაუპირისპირდა.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო, შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. ისინი კარგად აკონტროლებდნენ ბურთს, ორივე ფლანგზე სახიფათოდ მოქმედებდნენ...

პირველი საგოლე მომენტი მე-18 წუთზე შეიქმნა, როცა ნიკა კვასხვაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა. მაგრამ შანსი გაანიავა.

33-ე წუთზე პირველი გოლიც ვნახეთ — ჟილვან ვიეირამ მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, საჯარიმოში ჩააწოდა და უბერებელმა ზურაბ იონანიძემ ლამაზი თავურით დაამწუხრა სტუმრები — 1:0.

არ გასულა სამი წუთი, როცა იმავე იონანიძეს სტუმრები ეუხეშნენ საჯარიმოში და პენალტი როინ ონიან გამოიყენა — 2:0.

ტაიმის ბოლოს კვასხვაძის შეცდომის შემდეგ სტუმართა თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიამ სასწაულებრივად გადაარჩინა გუნდი.

მეორე ნახევარში მწვრთნელებმა შეცვლები განახორციელეს. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა...

72-ე წუთზე მასპინძლებმა საჯარიმოში უხეშად ითამაშეს დავით სევასტოპულოს წინააღმდეგ და პენალტი. გიორგი სეფერთელაძეს კუთხე კი გამოუცნო ჭანტურიამ, მაგრამ გუნდი ველარ გადაარჩინა და საბოლოო შედეგიც დაფიქსირდა — 2:1.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, ფრიდოლინი, სანტოსი (შ. ლონლაძე 46), ლომაშვილი (ზ. ლობჟანიძე 78), რ. ონიანი, ძარია (მაკარიანი 78), ნ. კვასხვაძე (გორგიაშვილი 74), იონანიძე (ჩასემი 69), ვიეირა (ბერიძე 74), ჩასემი (ჟონატასი 46).*

*ჭიათურა: ბადურაშვილი, კუპლიშვილი, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, ჯაჯანიძე (ნვოკო 26), გ. ილურიძე (ხაჩიძე 46), ძაგანია (ნ. ტყემალაძე 80), ვ. ტყემალაძე (ვაშაძე 60), სეფერთელაძე (ეგაძე 78), სევასტოპულო (მიშველიძე 82), ხაჭიპერაძე (ვოგებაშვილი 70).*

**ბექან ჩხეიძე**
ზესტაფონიდან

# მუტკო და სტუკალოვი: პოლიტიკა არ იქნება


ბორის სტუკალოვი

**5 სექტემბერს** მინსკის „ტრაქტორზე" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროშესარჩევ ციკლში მეორედ შეეცდება რუსი თანატოლების გამწარებას. მართალია, 10:0-იც რომ მოვიგოთ, ეს პლეი ოფში ველარ გაგვიყვანს, მაგრამ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი დარჩა, პლუს რუსების პლეი ოფში გასვლაც დადგება დიდ ეჭვქვეშ. მოკლედ, რუსეთი — საქართველოა...

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო თავისი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს შეხვდა და მატჩის მნიშვნელობაზე ესაუბრა. როგორც ოფიციალურად ითქვა, მუტკოს ამ შეხვედრაზე რუსეთ-საქართველოს შორის არასასიამოვნო პოლიტიკურ მოვლენებზე არ ულაპარაკია და მხოლოდ სპორტულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„მოედანზე ფეხბურთი იქნება და არა პოლიტიკა" — ამბობს რუსი ახალგაზრდების თავკაცი ბორის სტუკალოვიც და მინსკში ბელარუსი გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი აქვს. სტუკალოვი ამბობს, ბელარუსებიც რომ არა, რუსი ქომაგები ბლომად ჩამოვლენ მინსკში, გეოგრაფიულად ხომ ახლოს ვართო.

„გულწრფელად ვამბობ, ამ მატჩისთვის პოლიტიკური სარჩულის დადება არ მსურს, რაზეც ფეხბურთელებს თეორიულ მეცადინეობაზე ვესაუბრე. საჭიროა მინდორზე გასვლა და ფეხბურთის თამაში, რათა ევროჩემპიონატის შესარჩევის პლეი ოფში გავიდეთ. ბიჭებს ეს კარგად ესმით. საქართველოსთან თბილისში წავაგეთ — მაშინ არცთუ კარგი პერიოდი გვქონდა, რადგან რუსეთის ჩემპიონატი დასრულებული იყო და სტამბოლში ვემზადებოდით. მიუხედავად იმისა, რომ თბილისურ მატჩამდე ფსიქოლოგიური ზეწოლა იგრძნობოდა, ფეხბურთელები, თითქოს სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მაინც წავაგეთ. ახლა ვგრძნობთ, რომ საქართველოში დაკარგული სამი ქულა სერიოზული დარტყმა იყო, რამაც, შესაძლოა, პლეი ოფის მიღმა დაგვტოვოს. იმედია, ასე არ მოხდება" — ესეც სტუკალოვის სიტყვებია.

**ილია ნანოგაშვილი**



# ასათიანი სიომინთან, რა თქმა უნდა, გადავიდოდა

**მალხაზ ასათიანი** მერვე ქართველი ფეხბურთელია, რომელიც კიევის „დინამოში“ ითამაშებს ახრიკ ცვეიბას (21 თამაში, 0 გოლი), მიხეილ ჯიშკარიანის (21, 4) გიორგი დემეტრაძის (26, 15), კახა კალაძის (72, 6), ოთარ მარცვალაძის (6, 0) კახა ალადაშვილისა (2, 0) და დავით იმედაშვილის (2, 0) შემდეგ.

უკრაინული პრესა ამ ფაქტით სერიოზულად დაინტერესდა და მალხაზზე ახალი წერილიც გამოქვეყნდა...

„ასათიანი შეიძლება ფეხბურთელი არც გამხდარიყო, რომ არა აწ გარდაცვლილი თემურ ნადირაძის მონდომება. რაკი მწვრთნელი კარგად ხედავდა მის ტალანტს, ბურთისკენ შემოაბრუნა და ქართულ ფეხბურთს აჩუქა.

17 წლის იყო ასათიანი, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დებიუტი რომ ჰქონდა.

2003 წელს ქუთაისის „ტორპედო“ თანამეგობრობის თასზე მოსკოვის „ლოკომოტივს“ (2:2) შეხვდა და ერთი გოლი ასათიანმა გაიტანა. მან მატჩის დამთავრებისთანავე მიიღო შეთავაზება, რკინიგზელებთან ერთად წასულიყო შეკრებაზე და წავიდა კიდეც, როგორც ნახევარმცველი.

„ლოკომოტივის“ მაშინდელი მწვრთნელი იური სიომინი ნელ-ნელა აჩვევდა ქართველ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობას, იმდენად ნელა, რომ ასათიანს გუნდის დატოვებაც კი სურდა, მაგრამ სიომინმა გადააფიქრებინა. რამდენჯერმე თავდასხმაშიც გამოსცადა, თუმც ცსკა-ში გადასული სერგეი იგნაშევიჩის შემდეგ მისთვის ადგილი დაცვის ცენტრში გამოიძებნა — მცველის დებიუტი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მონაკოს“ წინაალმდეგ შედგა.

„თავიდან გამიჭირდა, შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი. არადა, თამაში მინდოდა. წასვლაზეც ვიფიქრე... „მონაკოსთან“ თამაშის შემდეგ კი ყველაფერი აეწყო. იმდენად მინდოდა თამაში, დაცვაში კი არა, კარშიც რომ დავეყენებინე, დავდგებოდი“ — გაიხსენებს მოგვიანებით ასათიანი.

რუსეთში ასათიანს სამმეოთხედმცველს ეძახდნენ, რადგან კლუბში მცველის, ნაკრებში კი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა.

სანამ „ლოკომოტივს“ სიომინი წვრთნიდა, არც გუნდს და არც ასათიანს პრობლემები არ ჰქონიათ, მერე კი გუნდმა თანდათან დაკარგა თავისი სახე.

„სიომინის დროს ჩემპიონებიც გავხდით და ლიგაშიც ვითამაშეთ. კარგი სპეციალისტი და ადამიანია. მთავარი რა არის მწვრთნელში? ხმაურიანი სახელი არ არის სავალდებულო, მთავარია, გუნდს თვისებები და დისციპლინა მისცეს. ყველამ უნდა იცოდეს, რა და როგორ აკეთოს მოედანზე, რას ითხოვს მწვრთნელი ფეხბურთელისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელისა და მწვრთნელის ურთიერთგაგებაა. როცა ასე ხდება, გუნდს პრობლემები არ აქვს“ — იტყვის ასათიანი სიომინზე „ლოკომოტივიდან“ მისი წასვლის შემდეგ და ამის გათვალისწინებით, ის კიევში გადმოსვლაზე უარს იტყოდა?!

შემდეგ იყო ტრავმები, თანაც მძიმე. მალხაზმა წლეულს ძირითადში ადგილიც დაკარგა, სულ ოთხჯერ ითამაშა.

ამასობაში სიომინმა ყოფილი შეგირდი კიევში მიიწვია...

საინტერესო ის არის, რომ ასათიანი შემადგენლობიდან იმ ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა როდოლფომ ამოაგდო, რომელიც „დინამომ“ მიჰყიდა „ლოკომოტივს“, სანაცვლოდ კი მისი სათადარიგო მიიწვია.

უკრაინელ გულშემატკივარს ასათიანი კარგად უნდა ახსოვდეს. მალხაზმა ორ შესარჩევ ციკლში ითამაშა ჩვენი ნაკრების წინაალმდეგ. კარგად უნდა ახსოვდეს ის ანდრიი გუსინსაც, რომელსაც უჭირდა ვერცხლისწყალივით მოძრავი ფეხბურთელის შეჩერება.

ყველაზე კარგად კი ასათიანი ვალერი გაზაევს უნდა ახსოვდეს. სწორედ „ასკა“ გახდა გაზაევის რუსეთის ნაკრებიდან დათხოვნის მიზეზი, როდესაც საქართველოს ნაკრებმა ასათიანის გოლით მოუგო ჩრდილოელებს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბაია კარგია, მაგრამ საპასუხო მატჩი წინაა

რუსთავის „ოლიმპმა“ საკმაოდ კარგი კონტინგენტი შეკრიბა და საქართველოს ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მოინათლა. მოსამზადებელი პერიოდის დროს „ოლიმპმა“ ბლომად ტესტ-მატჩი გამართა და უმრავლესობაში იმარჯვა კიდეც. ერთი ამოსუნთქვით გაიარა საქართველოს თასის მეთექვსმეტფინალური ეტაპი ლაგოდეხის „ჰერეთთან“, ამის მერე კი, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა და გუნდების უმრავლესობამ ვარჯიშები შეწყვიტა. აშკარად არ წაადგა პაუზა „ოლიმპს“ — რუსთაველებმა თასის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში შინ ზუგდიდის „ბაიას“ ვერაფერი მოუხერხეს (1:1). „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ **ხვიჩა ქასრაშვილთან** საუბარი სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ...



— ფაქტია, რომ გუნდმა ვერ აჩვენა ხარისხიანი ფეხბურთი და შედეგიც დამსახურებული მივიღეთ.

— ალბათ, ფეხბურთელებთან გქონდათ სერიოზული საუბარი...

— რა თქმა უნდა. ყველა ვაანალიზებთ, რაც მოხდა. ვეცდებით, საპასუხო შეხვედრაში უკეთ ვითამაშოთ. არ მინდა, შრომა წყალში ჩავუყარო ზუგდიდელებს. მათ მშვენიერი გუნდი ჰყავთ, ბევრი იმოძრავეს, იბრძოლეს და მხოლოდ ქების ღირსნი არიან.

— ამ შეხვედრაში ვერ ათამაშეთ აქვსენტი გილაური. ირანიდან როდის ჩამოვა მისი სატრანსფერო ფურცელი?

— უკვე მივიღეთ და ის ჩვენი სრულფასოვანი წევრია. 8 სექტემბერს ჩამოდის გაბონელი ერნესტ აკუასაგაც და უკვე სრული შემადგენლობა გვეყოლება.

— ტრავმა ხომ არ აწუხებს ვინმეს?

— გიორგი დეკანოსიძეა ტრავმირებული. ფეხს იტკივებს გიორგი ონიანიც, თუმც სერიოზული არაფერია.

— ტესტ-მატჩს ხომ არ გეგმავთ?

— ხვალ რუსთავში ცხინვალის „სპარტაკს“ გავეჯიბრებით, 8-ში კი — „გაგრას“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბლატერმა იტალიის ფორმა ნახა

**ფიფას** პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი იტალიის ნაკრების საწვრთნელ ბაზას ეწვია, სადაც ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაცია შედგა.

ამიერიდან იტალიელთა მაისურებზე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების აღსანიშნავად სიმბოლო იქნება გამოსახული.

„სკუადრა აძურა“ ამ ფორმით 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მუნდიალის ბოლომდე ითამაშებს. ცხადია, თუ შესარჩევი ციკლი წარმატებით დაძლია.

თუ იტალიელები ტიტულს ვერ შეინარჩუნებენ, ემბლემა ახალი ჩემპიონის ფორმაზე გადაინაცვლებს.

შეგახსენებთ: 10 სექტემბერს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იტალია საქართველოს უდინეში უმასპინძლებს.

**კახა შალამბერიძე**

# რეგიონთა თასი: წაგებული თურქეთი და ამოქაჩული ლიტვა

**უეფას** რეგიონთა თასის გათამაშების წინასწარი რაუნდი დაიწყო და შეიძლება ითქვას, საქართველოსთვის უკვე დასრულდა — სატურნირო თვალსაზრისით.

ელგუჯა გუგუშვილის გაწვრთნილი „თბილისის“ მეტოქეები ჯგუფში შვედური „ვოქსიო“, თურქული „მარმარა“ და ლიტვური „ელიტისი“ არიან.

მატჩები ლიტვაში — კაუნასსა და მარიამპოლში — მიმდინარეობს. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის შემდეგ ეტაპზე და ორი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

I ტური

თბილისი 0:1 მარმარა

ელიტისი 2:0 ვოქსიო

II ტური

თბილისი 3:3 ელიტისი

მარმარა 2:0 ვოქსიო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარმარა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ელიტისი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| თბილისი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ვოქსიო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

დღეს ჩვენები ჯგუფის აუტსაიდერ „ვოქსიოს“ თუ სძლევენ და „ელიტისი“ „მარმარასთან“ დამარცხდება, მაშინ შეიძლება „თბილისი“ გავიდეს — თუ ბურთების შეფარდებითაც აჯობებს ლიტველებს.

თურქებთან პირველ ტურში ელგუჯა გუგუშვილის გუნდმა 83-ე წუთზე გაუშვა გოლი, „ელიტისთან“ კი ჩვენები 32-ე წუთზე ლექსო ლეფსაიას გატანილით იგებდნენ, შემდეგ 1:3 აგებდნენ და 77-ე და 84-ე წუთებზე გურამ აბურჯანიამ და ირაკლი სვანიძემ იყოჩაღეს — 3:3.

**ილია ნანობაშვილი**

# დეკანოსიძეც ჩემპიონთა ლიგაში!

**ჩემპიონთა** ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველი ვიხილოთ, თანაც ისე, რომ საკვალიფიკაციო ეტაპებზე არ უთამაშია.

ბელარუსულმა ბორისოვის ბატე-მ 21 წლის ნახევარმცველ ლაშა დეკანოსიძესთან გააფორმა კონტრაქტი და საჩემპიონთალიგო განაცხადშიც შეიყვანა.

დეკანოსიძე თბილისის „დინამო 2“-ის ფეხბურთელი იყო და, როგორც შევიტყვეთ, ბელარუსში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტოპ-350: საქართველოდან მხოლოდ დინამო

**მსოფლიოს** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ასოციაციამ საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა და წინა ორი თვისგან განსხვავებით, ამჯერად ტოპ-350-ში საქართველოდან მხოლოდ თბილისის „დინამოა“. წინა თვეებში დინამოელებს „ზესტაფონიც“ უმშვენებდა გვერდს.

„დინამოც“ შესამჩნევად დაქვეითებულია — 82 ადგილით დაიწია უკან და ახლა 326-ე საფეხურზეა 67 ქულით: ამდენივე აქვთ ბოლივიურ „ლა პასსა“ და ბულგარულ ცსკა-ს.

უძლიერესთა ათეულში ოთხი ინგლისური კლუბია და ლიდერიც ერთ-ერთი მათგანია — „მანჩესტერ იუნაიტედი“. საინტერესოა, რომ წინა თვეში მეორეზე მყოფი „გლაზგო რეინჯერსი“ ახლა მე-14-ეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | მანჩესტერი | 284 |
| 2 | (5) | ბარსელონა | 263 |
| 3 | (3) | ჩელსი | 254 |
| 4 | (9) | ბოკა ხუნიორსი | 250 |
| 5 | (4) | ბაიერნი | 248 |
| 6 | (6) | რომა | 246 |
| 7 | (12) | ფიორენტინა | 239 |
| 8 | (7) | ლივერპული | 236 |
| 9 | (8) | არსენალი | 235 |
| 10 | (10) | ინტერი | 226 |

**ილია ნანობაშვილი**



# გაზა ისევ გიჟობს

**საბრალო** პოლ გესქოინი ისევ ბახუსის ტყვეობაშია და მავანთა აზრით, ლოთობით თავის მოკვლა აქვს განზრახული — ხუთდღიანი სმის შემდეგ გაზამ გონება დაკარგა.

პორტუგალიაში, კურორტ ვალე დუ ლობუში, უფრო ზუსტად კი „ოლგრეივ ოტელში" ლაპარაკის და გონების მოკრების უნარდაკარგული კაცი ტურისტებმა დილის შვიდის ნახევარზე ნახეს და პოლიციას გამოუძახეს. ამ ამბის ერთ-ერთმა შემსწრემ „სანს" უამბო:

„როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მან საკუთარი თავი დაანგრია. ეს გახლდათ ყველაზე საცოდავი სანახაობა, რასაც კი ოდესმე გადავყრივარ. ამხელა ვარსკვლავი გაუგებრად ლუღლუღებდა რაღაცას. საშინელება იყო".

მოწმეები ამბობენ, რომ 41 წლის ვარსკვლავყოფილი საკუთარ მობილურ ტელეფონში რაღაცას ბურტყუნებდა, სრულიად დარწმუნებული, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ყოფილ თანაშემწეს, ალასტერ კემპბელს ესაუბრებოდა.

რამდენადაც ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, გაზამ სმა ცნობილ ინგლისელ კომიკოსთან, ბრედლი უოლშთან და ძმაბიჭებთან, მათ შორის ცნობილ „ხუთლიპა" ჯიმი გარდნერთან ერთად დაიწყო. ტურისტები საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ სვამდა ოდესღაც ხალასი ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელი დღეში 20 ორმაგ ვისკის, ბარმენს სასმელის ფასის გამო ეჩხუბებოდა, ხოლო „ხუთლიპას" რაღაც 20 ათასი გირვანქა ვალის გამო ეკამათებოდა. როგორც ირკვევა, „ხუთლიპამ" ამ კამათს ველარ გაუძლო და ძმაკაცი მიატოვა, რის შემდეგაც სასტუმროში ტურისტებმა ნახეს გათიშული.

გაზა, რომელმაც მაისში თვითმკვლელობა სცადა და ამის გამო სარეაბილიტაციო ცენტრში დააწვინეს, პორტუგალიაში ერთი კვირის წინ ჩავიდა...

**პაპუნა ქედია**

# კევინ კიგანს ზურგიდან მოუარეს



**„ნიუკასლ იუნაიტედის"** მწვრთნელი, კევინ კიგანი მაიკლ ოუენისა და ჯოი ბარტონის გამო დგას პრობლემების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ სამშაბათს ტელეკომპანიებმა მსოფლიოს მოსდეს ცნობა იმის შესახებ, რომ კიგანი „კაჭკაჭების" მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ ისინი შეცდნენ და მსოფლიოც შეცდომაში შეიყვანეს. კიგანი ჯერჯერობით არასადაც არ წასულა, თუმცა რას იზამს უახლოეს მომავალში, არავინ უწყის.

მიზეზი: კიგანსა და „ნიუკასლის" მეპატრონეს, მაიკ ეშლის შორის ძალიან დიდმა და ძალიან შავმა კატამ გაირბინა, კერძოდ კი, კლუბის თავმჯდომარეს მწვრთნელის დაუკითხავად მოეპრიანა ზემოხსენებული ორი ფეხბურთელის გაყიდვა...

ვის უნდოდა ოუენისა და ბარტონის შეძენა? ოუენის შეძენის სურვილი „მანჩესტერ სიტის" თავკაცს, მარკ ჰიუზსა და „ევერტონის" შეფს, დევიდ მოიესს არასდროს დაუმალავს, ბარტონის კი „პორტსმუთის" თავკაცი ჰარი რედნაპი ითხოვდა, მაგრამ განა პრაქტიკული მხარე კიგანთან არ უნდა შეთანხმებულიყო? თან, როგორც ამბობენ, მწვრთნელი სულ სხვა მენეჯერული საქმით, „ასტონ ვილასთვის" გარემარბ ჯეიმს მილნერის 12 მილიონ გირვანქად მიყიდვის საკითხებით გახლდათ დაკავებული.

„კევინი მილნერის გასხვისებით ფულის შოვნას აპირებდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღე იდგა და არავის ყიდვას აღარ ფიქრობდა. ჰოდა, როდესაც შეიტყო, რომ მის ზურგსუკან კლუბი ორი მოთამაშის გაყიდვას აპირებდა, კინაღამ ჭერს მიარტყა თავი. ეს ბოლო წვეთი იყო" — მოყვა მავანმა საქმეში ჩახედულმა.

კლუბის დირექტორატთან პრინციპული და გასაოცარი კამათის დროს მან განაცხადა, რომ ბარტონი და ოუენი არსად არ უნდა წავიდნენ, ვინაიდან ამ შემთხვევაში „ნიუკასლი" მათი შემცვლელის გარეშე დარჩება.

საქმეში ჩახედული სხვა ადამიანი: „ეს იყო ძალიან პრინციპული და ბრაზიანი კამათი. კევინი ამტკიცებდა, რომ ფეხბურთელები მისი დასტურის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაყიდონ. ის ამბობდა, რომ ვინაიდან გუნდში ახალი მოთამაშეების მოყვანას ვერ აკონტროლებს, გაყიდვა ნამდვილად მისი ნებართვით უნდა ხდებოდეს. მწვრთნელის ამ პრეტენზიის პასუხად კლუბი საპირისპიროდ ამტკიცებდა. დირექტორატის წევრები ამბობდნენ, რომ კიგანი მათ გადაწყვეტილებებს მშვიდად უნდა ხვდებოდეს".

ამრიგად, პირველ საღამოს კიგანის მომავლის ამბავი ბოლომდე არ გარკვეულა. „ნიუკასლ იუნაიტედმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ გაიმართა კლუბის დირექტორატის სხდომა, რომელსაც კიგანიც დაესწრო და ამ სხდომაზე რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი განიხილეს, თუმცა იმის დასამტკიცებლად, რომ კლუბი სტრატეგიას არ ცვლის, მწვრთნელი თანამდებობიდან არსად წავა".

**პაპუნა ქედია**



# რაღაც განსაკუთრებული

**მორჩით** ოცნებას, ამიერიდან ეს სინამდვილეა! აი, დაახლოებით ამგვარი რამ შეუთვალეს „მანჩესტერ სიტის" ახალმა მეპატრონეებმა ფანებს. „აბუ დაბის ჯგუფის" შეფი, დოქტორი სულეიმან ალ ფაჰიმი გაზეთ „სანს" ექსკლუზიურად ესაუბრა და ჩვენც თქვენთვის ამ საუბრის გაცნობა გვსურს.

ერთი სიტყვით, ოცნების დრო დამთავრდა, ახლა სინამდვილის ეპოქა იწყება — და, როგორც გუშინდელ „სარბიელში" მოგახსენებდით, ამ არაბმა ბიზნესმენმა კარგად იცის რასაც ამბობს. ასე რომ, ძრწოდე, ევროპა!

ალ ფაჰიმი: „ვიცი, „მანჩესტერ სიტის" ფანებს წარსულში მძიმე დროება აქვთ გადატანილი, მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა. მე მინდა ისინი დავამშვიდო და ვუთხრა: წარმატებების ეპოქა იწყება! · ჩვენი გეგმა ასეთია: ამ სეზონში პრემიერლიგის ოთხეულში უნდა შევიდეთ, შემდეგ სეზონში ჩემპიონები უნდა გავხდეთ, ხოლო სამ წელიწადში ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ".

ალ ფაჰიმისთვის ფული პრობლემა არ არის და ამიტომაც:

„ჩვენ ვაპირებთ „მანჩესტერ სიტიში" მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებს მოვუყაროთ თავი. ჩვენ ისეთ გუნდს შევქმნით, რომლის თამაშის ნახვაც მთელს მსოფლიოს მოუნდება".

მოგეხსენებათ, „აბუ დაბის ჯგუფმა", რომელსაც ზურგს სამეფო ოჯახი უმაგრებს, „სიტიში" 220 მილიონი გირვანქა გადაიხადა და იმავე დღეს დაიწყო გუნდის გაძლიერებაზე ფიქრი. კლუბის ძალაუფლებაში მოსვლის პირველსავე დღეს ახალმა მეპატრონეებმა „რეალისგან" რობინიო იყიდეს და, როგორც ცნობილი გახდა, 32 მილიონი გირვანქა „ბარსელონას" თავდამსხმელ სამუელ ეტოოს გასაშვებადაც შეუთავაზებიათ.

ირკვევა ისიც, რომ 32 მილიონი გირვანქა აბუდაბელებმა „აიაქსსაც" დაანახეს, კლაას იან ჰუნტელაარი მოწონებიათ, მაგრამ, როგორც იცით, არც ეტოოს და არც ჰუნტელაარის ამბავი არ გამოვიდა, რადგან ტრანსფერების ბოლო დღე იყო და „ბარსამ" და „აიაქსმა" ვარიანტებზე ფიქრით თავი აღარ აიტკივეს.

მაგრამ, რაც არ მოესწრო ახლა, მოესწრება მომავალში. ალ ფაჰიმი ხომ ეგრეთწოდებული „დრიმ თიმის" შეკვრას აპირებს და სიაში ასეთი ხალხი ჰყავს ჩამოწერილი:

კრიშტიანუ რონალდუ (ვის სანაცვლოდაც 135 მილიონ გირვანქასაც არ დავიშურებო), ლიონელ მესი, კაკა, სესკ ფაბრეგასი, ფერნანდო ტორესი, რონალდინიო და თვით დიმიტარ ბერბატოვი, რომელიც ახალ გუნდში, კერძოდ კი „მანჩესტერ იუნაიტედში", მოგეხსენებათ, ორი დღის წინ გადავიდა.

ამას მრავალი მილიონი დასჭირდებაო — შეიძლება ერთხელაც გაიფიქროს ვინმემ, ჩვენ კი ვუპასუხებთ: „მანჩესტერ სიტის" ახალ მეპატრონეებს, მილიონები რა მოსატანია, მილიარდები აქვთ და მათი დახარჯვა შეუძლიათ.

ალ ფაჰიმი ამბობს, რომ „მანჩესტერ სიტის" ფანებს ყველა მიზეზი აქვთ, კარგ გუნებაზე რომ დადგნენ და გვერდით დგომას შინ, „ჩელსის" წინააღდეგ უახლოეს მატჩში ჰპირდება.

„ამაღელვებელი დრო მოდის. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის შექმნას ვიწყებთ. როდესაც რაღაცას ამოვიჩემებ, მიზანს აუცილებლად ვაღწევ. შემდეგ თამაშში სტადიონზე ვიქნები „სიტის" შარფით და მინდა, ფანებიც გვერდით დამიდგნენ. მთელი ცხოვრება ინგლისური ფეხბურთის მოყვარული ვარ და ახლა საუკეთესო შანსი მეც მეძლევა და „სიტისაც". იცით, ჩვენ უბრალოდ ჩემპიონი გუნდის შექმნა კი არ გვსურს, ჩვენ რაღაც განსაკუთრებულის გამოძერწვა გვინდა".

**პაპუნა ქედია**



სულეიმან ალ ფაჰიმი

# გარსია სობისის ნაცვლად



რაფაელ სობისი

**ესპანურმა** „ბეტისმა“ 10 მილიონ ევროდ ბრაზილიელი თავდამსხმელი რაფაელ სობისი არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდ „ალ-ჯაზირას“ მიჰყიდა და სასწრაფოდ მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო.

შემცვლელი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონია — 25 წლის თავდამსხმელი სერხიო გარსია. ევროპის ჩემპიონს სეგუნდადივიზიონელ „სარაგოსაში“ რომ არავინ გააჩერებდა, ფაქტი იყო. გარსიას რამდენიმე წინადადება ჰქონდა, მათ შორის ყველაზე გამორჩეული „ტოტენჰემისა“ იყო, თუმცა ფეხბურთელმა ესპანეთში დარჩენა არჩია.

მოლაპარაკება კლუბებს შორის ბოლო წამამდე გაგრძელდა — „ბეტისმა“ ფეხბურთელი ჯერ განაცხადში შეიყვანა და სამედიცინო გამოკვლევა შემდეგ ჩაუტარა.

„მარკას“ ცნობით, ანდალუზიელებმა „სარაგოსას“ 10 მილიონზე მეტი გადაუხადეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლეჩეს — ბასტა, კერლონს — ვირი

**სატრანსფერო** ფანჯრის ბოლო დღე სასარგებლოდ გამოიყენეს სერია A-ში დაბრუნებულმა გუნდებმა.

„ლეჩემ“ დედაქალაქური „ლაციოდან“ იჯარით აიყვანა გულიელმო სტენდარდო, რომელმაც რომაული კლუბის მწვრთნელ დელიო როსისთან ურთიერთობა ვერ ააწყო.

სტენდარდო შარშანდელი სეზონის მეორე წრეში „იუვენტუსში“ იყო განათხოვრებული. წელს კი მისით დაინტერესება „მილანმა“, „ინტერმა“, „ტოტენჰემმა“ და „ბოლონიამ“ გამოხატეს, თუმც საბოლოოდ „ლეჩეში“ აღმოჩნდა.

ლეჩელი გახდა 24 წლის სერბი ფეხბურთელი დუშან ბასტა, რომელმაც ივნისში წინასწარი კონტრაქტი გააფორმა „უდინეზესთან“ და ამხანაგურ მატჩებშიც ითამაშა, თუმც საბოლოოდ „ლეჩე“ ირჩია.

სერია A-ში დაბრუნებულმა კიდევ ერთმა კლუბმა, ვერონის „კიევომ“ უფრო შორს, სამხრეთ ამერიკისკენ გაიხედა — „კრუზეიროს“ 20 წლის ნახევარმცველი კერლონი „მფრინავი ვირი“ გახდა.

კერლონს „კრუზეიროში“ სამი სეზონის განმავლობაში სულ 27 მატჩი აქვს ნათამაშები და ერთი გოლიც გაუტანია. ასეთი მცირე თამაშების რაოდენობა მძიმე ტრავმით იყო გამოწვეული, რომელიც თავს ხანდახან ისევ ახსენებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იუვემ იაგო დაიმატა

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე, კიდევ ერთი, ცოტა მოულოდნელი ტრანსფერი განახორციელა. „ბებერმა ქალბატონმა“ „ბარსელონადან“ 18 წლის ნახევარმცველი ფალკე სილვა იაგო დაიმატა.

„ბიანკონერიმ“ თავის ახალწვეულთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იაგომ კი თავი ასევე „ბარსელონას“ აღზრდილ „არსენალის“ ლიდერ ფრანსესკ ფაბრეგასს შეადარა, „იუვენტუსის“ სესკი ვიქნები.

„მიხარია, რომ „იუვეს“ დარ პრესტიჟულ გუნდს შევუერთდი. იმაზე ფიქრი, რომ ნამდვილ ჩემპიონებთან ერთად ვივარჯიშებ, დიდ ენთუზიაზმს მმატებს. მინდა, გუნდისთვის სასარგებლო ვიყო და პოტენციაში გამოვავლინო. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს მწვრთნელ კლაუდიო რანიერის საქებარი სიტყვებისთვის. კარგი იქნება, თუ ფაბრეგასის გზას გავიმეორებ და „იუვენტუსში“ ისე ვითამაშებ, როგორც იგი — „არსენალში“. თავს არ დავზოგავ“ — თქვა იაგომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ბილეფელდური ამბები

**ბილეფელდის** „არმინიამ“ ნახევარმცველი ალექსანდრ ლაასი დაიმატა. ფეხბურთელის კარიერა „ჰამბურგში“ დაიწყო, სადაც იგი მეორე გუნდის შემადგენლობაში რეგულარულად გამოდიოდა. 2007 წელს ლაასი „ვოლფსბურგში“ გადავიდა, თუმცა „მგლების“ შემადგენლობაში მხოლოდ 4 მატჩის ჩატარება მოახერხა და ამიტომ ბილეფელდელთა წინადადებას დათანხმდა. ამასობაში „არმინიას“ მეკარე როვენ ფერნანდესი 2-3 თვით მწყობრიდან გამოვიდა. 30 წლის სამხრეთაფრიკელმა ვარჯიშის დროს ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა.

**არჩილ ძოგახიძე**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი ქაქაბაძე**



## ლეგენდა №68:
## გრე-ნო-ლი

ასე შეარქვეს თავდასხმის შვედურ ტრიოს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ შემადგენლობაში ბრწყინავდა.

გუნარ გრენმა, გუნარ ნორდალმა და ნილს ლიდჰოლმმა შვედეთის ნაკრებს 1948 წელს ოლიმპიადა მოაგებინეს. ამ დიდი წარმატებიდან სულ ცოტა ხანში, ნორდალი „მილანში“ გადავიდა. 1949-1950 წლების სეზონში კი „როსონერის“ გრენმა და ლიდჰოლმმაც მიაშურეს.

ამ შესანიშნავ ტრიოს ფანების სიყვარულის მოპოვება არ გასჭირვებია. ისინი მართლაც ბრწყინვალედ ირჯებოდნენ. სხვათა შორის, 1949-1950 წლების სეზონში გამართულ 38 მატჩში „მილანმა“ 118 გოლი გაიტანა. მომავალ სეზონში გრე-ნო-ლიმ „როსონერის“ სკუდეტო მოაგებინა.

გრენის წასვლის მერე, ნორდალმა და ლიდჰოლმმა იტალიის ჩემპიონობა 1955 წელსაც მოიპოვეს, ხოლო როცა ნორდალმაც დატოვა „როსონერი“, ლიდჰოლმმა კიდევ ორი სკუდეტო მოიპოვა 1957 და 1959 წლებში.

ნორდალმა, რომელმაც შვედეთის ნაკრებში 33 მატჩში 43 გოლი გაიტანა, „მილანის“ გარდა 2 წელი „რომაშიც“ ითამაშა. იგი იტალიის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირებს შორის მეორე ადგილზეა და მხოლოდ სილვიო პიოლას ჩამორჩება. თუმცა შვედს მხოლოდ 291 მატჩში აქვს გატანილი 225 გოლი, პიოლას კი 537 შეხვედრაში — 274.

გრენმა „მილანის“ მერე ბევრი გუნდი გამოიცვალა. ნაკრების ღირსება ბოლოჯერ 37 წლის ასაკში დაიცვა (სულ — 57 მატჩში 32 გოლი), ხოლო საკლუბო კარიერა ძალიან დიდხანს გაუგრძელდა, 46 წლის ასაკში რეალურად კი ჩამოშორდა აქტიურ ფეხბურთს, მაგრამ სხვადასხვა კლუბების რიგებში კიდევ ათი წელი ირიცხებოდა და ზოგჯერ ბურთსაც აგორებდა.

რაც შეეხება ლიდჰოლმს, მან კარიერა „მილანში“ დაასრულა 39 წლის ასაკში. შვედეთის ნაკრებში 21-ჯერ ითამაშა და 10 გოლი გაიტანა. სათამაშო კარიერის მერე კი მწვრთნელობა დაიწყო და საკმაოდ წარმატებულადაც. მთელი სამწვრთნელო კარიერა იტალიაში გაატარა და არაერთი კლუბი გამოიცვალა. საყვარელ „როსონერის“ სამ სხვადასხვა პერიოდში ედგა სათავეში.

## ლეგენდა №69:
## რეიმსი

1991 წელს დაარსებული „სტად დე რეიმსი“ 1950-იან წლებში საფრანგეთისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი გახლდათ. „რეიმსი“ 60-იანების დასაწყისშიც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მერე, ეს კლუბი ძალიან დასუსტდა და მას შემდეგ ვერ ახერხებს ძველ სიმაღლეებზე დაბრუნებას.

დიდების წლეში „რეიმსს“ ალბერ ბატო წვრთნიდა. გუნდის იმდროინდელი ვარსკვლავებიდან კი ორი დიდი ფეხბურთელი ჟუსტ ფონტენი და რაიმონ კოპა უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მერე მადრიდის „რეალმა“ იყიდა.

ჩემპიონთა თასის ფინალში ორჯერ გასული „რეიმსი“ ორივეჯერ სწორედ სამეფო გუნდთან დამარცხდა. 1956 წელს „რეალმა“ პარიზში 4:3 იმარჯვა, ხოლო 1959 წელს შტუტგარტში 2:0.

1949, 1953, 1955, 1958, 1960 და 1962 წლებში „რეიმსი“ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. 1947, 1954 და 1963 წლებში კი მეორე ადგილზე გავიდა. 1950 და 1958 წლებში კი გუნდმა ქვეყნის თასი მოიგო.

1963 წლის მერე, „რეიმსს“ დაღმასვლა დაეწყო. გუნდის ბოლო გაელვებად 1977 წელს საფრანგეთის თასის ფინალში გასვლა უნდა ჩავთვალოთ, რომელშიდაც გუნდი „სენტ ეტიენთან“ დამარცხდა 1:2. ამის შემდეგ, „რეიმსი“ რომელიმე ტიტულის მოპოვებას კი არა ელიტაში დამკვიდრებასაც ვეღარ ახერხებს.

„რეიმსის“ კიდევ ერთმა ძველმა ლეგენდამ მიშელ იდალგომ სათამაშო კარიერის დასრულების მერე, მწვრთნელობას მიჰყო ხელი და 1984 წელს საფრანგეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

## ლეგენდა №70:
## ნარინჯისფერი ისტორია

იან გუალტერუ ვან ბრედა კოლფი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იყო. ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი 1911 წლის 2 აპრილს ჰქონდა, როცა 17 წლის გახლდათ და „დენ ჰააგში“ ირიცხებოდა.

იგი დღემდე რჩება ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად, ვისაც „ნარინჯისფერთა“ ეროვნულ ნაკრებში უთამაშია. ვან ბრედა კოლფმა ბელგიასთან თავის სადებიუტო მატჩში გოლის გატანაც მოახერხა, ჰოლანდიამ კი საბოლოოდ 3:1 მოიგო.

სულ ვან ბრედა კოლფმა „ნარინჯისფერთა“ ღირსება 11-ჯერ დაიცვა და იმ ერთი გოლის გარდა, მეტი არ გაუტანია. 1912 წელს იგი ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა და მაკლერი გახდა. საინტერესოა, რომ სწორედ მისი ვაჟი იყო ცნობილი კალათბურთელი და შემდგომში მწვრთნელი ბუჩ ვან ბრედა კოლფი. შვილიშვილი და სეხნია, იან ვან ბრედა კოლფი კი ასევე არცთუ უცნობი კალათბურთელი და მწვრთნელი გამოვიდა.

# კანი ფეხბურთიდან წავიდა



# ოლე, ოლი!

**გერმანული** ფეხბურთის ლეგენდარული მეკარე ოლივერ კანი ფეხბურთს ოფიციალურად გამოემშვიდობა.

მიუნხენში ამხანაგური მატჩი გაიმართა — „ბაიერნი“ ბუნდესნაკრებს შეხვდა და ეს გამოდგა კანის ბოლო მატჩი.

გამომშვიდობება, ცხადია, სევდიანი იყო — ოლიმ თვალცრემლიანმა დატოვა სტადიონი.

კანი სამჯერ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ. 21-წლიან კარიერაში ბუნდესლიგის 557 და ნაკრების 86 მატჩი მოუგროვდა.

**ლუკა თალაქვაძე**

# რივალდო ტაშკენტში

**28 აგვისტოს** მოწმენდილ საფეხბურთო ცაზე მეხივით გავარდა: ათენის აეკ-ის ლიდერმა რივალდომ უზბეკურ „ბუნიოდქორთან“ კონტრაქტი გააფორმაო. ბევრმა არ დაიჯერა, მაგრამ ფაქტია — მობერებული ბრაზილიელი გუშინ ტაშკენტში ჩავიდა. ბრაზილიის ნაკრების, „დეპორტივოს“, „ბარსელონას“ და უამრავი სხვა კლუბის ყოფილ ვარსკვლავს ოჯახთან, ცოლსა და სამ შვილთან ერთად უზბეკეთის დედაქალაქის აეროპორტში დიდი ხალხმრავლობა დახვდა — „ბუნიოდქორის“ ფანკლუბის წევრთა და ჟურნალისტთა გარდა უამრავი უბრალო გულშემატკივარიც. მოგვიანებით, სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ფეხბურთელის პრეზენტაცია შედგა, რის შემდეგაც ტაშკენტელებმა დედაქალაქური სტადიონის ტრიბუნებიც გაავსეს, სადაც რივალდომ ბურთი აკენწლა, ქუსლით აიგდო, კეფაზე გაიჩერა — მოკლედ, ყველაფერი ის ქნა, რითაც ასე გამოირჩევიან ბურთთან ურთიერთობაში ბრაზილიელები...








## მპენზა პლიმუთს შეუერთდა

**ბელგიის** ნაკრების თავდამსხმელი ემილ მპენზა ინგლისური ჩემპიონლიგის „პლიმუთის“ შემადგენლობაში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა: „ეროვნული ნაკრების მოთამაშეს ყოველდღე უფასოდ ვერ იპოვი, ემილი გამოცდილი ფეხბურთელია. მან პრემიერლიგის გასულ სეზონში 25 მატჩი ჩაატარა. ყურებს ვერ დავუჯერე, როდესაც გავიგე, რომ ასეთი ფეხბურთელის აყვანის საშუალება მოგვეცა“ — აღნიშნა „პლიმუთის“ თავკაცმა პოლ სტაროკმა. წარმოშობით კონგოელი ფეხბურთელი უკანასკნელად „მანჩესტერ სიტის“ რიგებში გამოდიოდა, თავისი საუკეთესო პერიოდი კი ლიეჟის „სტანდარდში“ და გელზენკირხენის „შალკეში“ გაატარა.

## ჯორჯო გადარჩა

**ტურინის** „იუვენტუსის“ დაცვის ბურჯი ჯორჯო კიელინი მწვანე მინდორს, სავარაუდოდ, სექტემბრის შუაში დაუბრუნდება. ჯორჯომ მუხლის ტრავმა 18 აგვისტოს ბერლუსკონის თასზე გამოსვლისას მიიღო და იმის საფრთხეც არსებობდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს მთელი სეზონი გაუცდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად დასრულდა და კიელინი უკვე ვარჯიშობს.

## მგლების ორი ახალწვეული

**„ვოლფსბურგმა“** სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი ფეხბურთელი შეიძინა. მცველი ბერნდ კორჟინეცი „მგლების“ რიგებში „არმინიადან“ იჯარის წესით გადავიდა, ხოლო შვეიცარიული „სენტ გალენის“ ყოფილმა გოლკიპერმა მარვინ ჰიცმა გერმანელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ლიონმა მასამა გაიფორმა

**„ლიონმა“** მარჯვენა მცველ ლამინ გასამასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 18 წლის ფეხბურთელმა წინასასეზონო მზადებისას კლოდ პიუელზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ფრანგმა სპეციალისტმა მისი პირველ გუნდში გადმოყვანა გადაწყვიტა.

## ანდერსონის გარეშე

**ბრაზილიის** ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ანდერსონი ჩილესთან და ბოლივიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში თავის ნაკრებს ვერ დაეხმარება. მიზეზად ტრავმა სახელდება, რომლის გამოც, შესაძლოა, ფეხბურთელმა 13 სექტემბერს „ლივერპულთან“ პრემიერლიგის მატჩიც გამოტოვოს.

## კეჰილმა ვარჯიში განაახლა

**ლივერპულის** „ევერტონის“ ნახევარმცველმა ტიმ კეჰილმა ვარჯიში განაახლა. ავსტრალიელი ფეხბურთელი ტრავმის გამო მოედანზე მაისის შემდეგ არ გამოჩენილა. კეჰილი „კანფეტების“ რიგებში 2004 წელს 1,5 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადაბარგდა და პირველივე სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## ტორესს სილვა შეუერთდა

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ვალენსიის“ ნახევარმცველმა დავიდ სილვამ მარცხენა კოჭის ტრავმა მიიღო და ეროვნული ნაკრების რიგების დატოვება მოუხდა. პირენეელთა დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკე კი მის ნაცვლად სხვა ფეხბურთელის გამოძახებას არ აპირებს. ასე რომ, ესპანელებს ბოსნიელებთან და სომხებთან შერკინება ტორესისა და სილვას გარეშე მოუწევთ.

## ამელიამ ზურგი იტკინა

**იტალიის** ნაკრებისა და „პალერმოს“ მეკარე მარკო ამელიამ ვარჯიშისას ზურგის ტრავმა მიიღო და შესაძლოა, კვიპროსთან და საქართველოსთან თამაშებზე „სკუადრა ადურას“ ვერ დაეხმაროს. ამელიას დამატებითი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება და ყველაფერი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება.

## ჩაქუჩებში მატებაა

**სატრანსფერო** ფანჯრის დახურვამდე ლონდონის „ვესტ ჰემმა“ იტალიური „ტორინოდან“ და ფრანგული „ტულუზადან“ ორი ფეხბურთელის გადმოყვანა მოასწრო. პიემონტური კლუბიდან „ჩაქუჩებმა“ თავდამსხმელი დავიდე დი მიკელე იჯარით აიყვანეს. 32 წლის ფეხბურთელმა თავისი საუკეთესო წლები ფრიულულ „უდინეზეში“ გაატარა, „ტოროში“ კი მისი კარიერა არც ისე კარგად აეწყო. ლონდონელთა მეორე შენაძენი კონგოელი მცველი ერიტა ილუნგაა, რომელმაც გასულ წელს „ტულუზას“ რიგებში 35 მატჩი ჩაატარა.

## ბრიანი ბენ არფას შეცვლის

**„რენის“** ფორვარდი ჟიმი ბრიანი საფრანგეთის ნაკრებში „ლიონის“ ტრავმირებულ ნახევარმცველ ჰათემ ბენ არფას შეცვლის. „მამლების“ დამრიგებელი რაიმონ დომენეკი თავდაპირველად ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველის სამირ ნასრის გამოძახებას აპირებდა, თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, „მეთოფეების“ ახალწვეულსაც ტრავმა აწუხებს. ამრიგად, 23 წლის ბრიანს ეროვნული ნაკრების მაისურით პირველი მატჩის ჩატარების შანსი აქვს.

**არჩილ ძოგახიძე**

# იტალიური ტრანსფერები 2008-2009

## მილანი

**მოვიდნენ**

კრისტიან აბიატი (ატლეტიკო)
ტაბარე ვიუდესი (დეფენსორი)
მატიას კარდასიო (ნასიონალი)
ალბერტო პალოსკი (ახალგაზრდული გუნდი)
რონალდინიო (ბარსელონა)
ლუკა ანტონინი (ემპოლი)
მარკო ბორიელო (ჯენოა)
ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა)
მატიე ფლამინი (არსენალი)
სანდრო ბლუდეკი (კიასო)
ანდრეი შევჩენკო (მილანი)
ფილიპ სენდეროსი (არსენალი)

**წავიდნენ**

კაფუ (კარიერა დაასრულა)
პიერ-ემერიკ აუბამეიანგი (დიჟონი)
რონალდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ელია ლეგატი (მონაკო)
მარკო სტორარი (ფიორენტინა)
ლეანდრო გრიმი (სპორტინგი)
ფერდინანდო კოპოლა (ატალანტა)
ინაციო აბატე (ტორინო)
ლუკა ფერეტი (ლეკო)
ლინო მარძორატი (ემპოლი)
ლუკა ანტონელი (პარმა)
ვალერიო ფიორი (კარიერა დაასრულა)
იბრაჰიმ ბა (კარიერა დაასრულა)
სერჟინიო (კარიერა დაასრულა)
რიკარდო ოლივეირა (სარაგოსსა)
დავიდე დი ჯენნარო (ჯენოა)
ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა)
იოან გურკუფი (ბორდო)
პაოლო სამარკო (სამპდორია)
კრისტიან ბროკი (ლაციო)
ვილი აუბამეიანგი (აველინო)
მასიმო ოდო (ბაიერნი)
ალბერტო პალოსკი (პარმა)
დიგაო (სტანდარდი)
დარიო შიმიჩი (მონაკო)
სანდრო ბლუდეკი (ვარტექსი)



რონალდინიო „მილანში" გადავიდა

## რომა

**მოვიდნენ**

ჟულიო ბაპტიშტა (რეალი)
ჟერემი მენესი (მონაკო)
იონ არნე რიისე (ლივერპული)
ლეანდრო გრეკო (ვერონა)
ანტუნესი (ფერეირა)
არტურ მორაესი (სიენა)
სიმონე ლორია (სიენა)
— ცუდი არ იქნებოდა, უკეთესი ადგილი დამეკავებინა, მაგრამ მთლიანობაში ესეც კარგია. წელს ოლიმპიადაზე ჩემი დებიუტი შედგა. როცა პეკინში მივდიოდი ვამბობდი, რომ იქ ფინალში გასვლა იყო ჩემი უმთავრესი ამოცანა. ეს მოვახერხე და მერე რაც უფრო მაღალ ადგილს დავიკავებდი, მით უფრო უკეთესი იქნებოდა. საბოლოოდ მეექვსეზე დავრჩი, რაც დებიუტანტისათვის კარგი შედეგია.

— მსაჯების მიერ შენს შეფასებებზე უარყოფითი გავლენა ალბათ იმანაც მოახდინა, რომ პირველი გამოდიოდი და თან სხვებზე ნაკლებად სახელიანი იყავი...

— არც უმაგისობაა, რადგან მსაჯებზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს, სპორტსმენის სახელი. როდესაც სპორტსმენი შეჯიბრებას ხსნის, მას ყველაზე მკაცრად აფასებენ და სხვებზე ნაკლებ ქულებს უწერენ. ამასთან ერთად ნაკლებად ცნობილი ვიყავი და გავლენა ამანაც მოახდინა, მასჯები ხშირად უნდა გხედავდნენ ტურნირებზე და ამით დამატებითი პლუსები გეწერება.

**გიორგი არაბული**





# ემიგრანტი ნაკრები ყველამ უნდა გაქაჩოს

*14 აგვისტოდან საქართველოს საკალათბურთო ნაკრები საზღვარგარეთაა და თბილისში მხოლოდ 20 სექტემბერს დაბრუნდება, მას შემდეგ, რაც ევროპის **B** დივიზიონის შეხვედრებს გამართავს ლუქსემბურგის, ირლანდიის, სლოვაკეთისა და შვედეთის ნაკრებებთან.*

*ჩვენები ჯერ უკრაინაში ჩავიდნენ და იქ მასპინძლებთან ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს — ერთი წააგეს, მეორე — მოიგეს. შემდეგ თურქეთში გააგრძელეს შეკრება, რის მერეც ლატვიაში გადაინაცვლეს და რიგაში ოთხთა ტურნირში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ჩეხეთისა და ლატვიის ნაკრებებთან ერთად. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები ავსტრიაში გადავიდა, ქალაქ ბადენში მასპინძლებთან ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა და ორივეში დამარცხდა.*

*ახლა საქართველოს ნაკრები ისევ ავსტრიაშია, ვენიდან ერთი საათის სავალზე განთავსებულ სპორტულ კომპლექსშია დაბინავებული და მომავალი ოფიციალური შეხვედრებისათვის იქვე ემზადება.*

*სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ წლეულს ჩვენი ნაკრები ყველა ოფიციალურ მატჩს სტუმრად გამართავს, თბილისში კი მხოლოდ მომავალ წელს ჩაატარებს შეხვედრებს. აქედან გამომდინარე, საშუალება არ გვექნება, საკუთარი თვალით, ცოცხლად ვნახოთ საქართველოს ნაკრების გამოსვლა.*

*ჯერჯერობით გამართული თამაშებიდან არც ერთი არ გვინახავს ტელეჩანაწერის სახითაც კი და ჩვენი ნაკრების შესახებ ინფორმაციებს უშუალოდ თვითმხილველებისაგან თუ მივიღებთ.*

*გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტს,* **დავით უსტიაშვილს** *ავსტრიაში დავუკავშირდით და მისგან მოვისმინეთ პასუხები ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე.*

— რა ხდება ახლა ნაკრებში, როგორ პირობებში ემზადებით?

— ნამდვილად კარგი მდგომარეობაა, შესანიშნავი სპორტული კომპლექსია ვენიდან ერთი საათის სავალზე და იქ ვემზადებით. ადგილზევე გვაქვს ტრენაჟორებისა და კალათბურთის სავარჯიშო დარბაზები, რაც ჩვენთვის უმთავრესია.

— როგორი განწყობაა გუნდში?

— რა თქმა უნდა, საბრძოლო. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ჩვენ ხომ წელს ევროპულ საკალათბურთო არენებზე საქართველოს ღირსება უნდა დავიცვათ.

— გუნდი დღეში რამდენჯერ ვარჯიშობს და ტრავმა ხომ არავის აწუხებს?

— ხან ორჯერ ვვარჯიშობთ, ხანაც სამჯერ. ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული მოსამზადებელი გეგმის მიხედვით და იმას მივყვებით. ლატვიაში და ავსტრიაში ექვს დღეში ხუთი შეხვედრის გამართვა მოგვიწია, რამაც ბიჭები, ცოტა არ იყოს, გადაღალა. ამის გამო ავსტრიული შეკრების პირველ დღეს დავისვენეთ და ვარჯიში მეორე დღიდან განვაახლეთ.

რაც შეეხება ტრავმებს, ამ მხრივ სერიოზული პრობლემა ჰქონდა ტაირონ ელისს, მას წელი აწუხებდა და ამის გამო გადავწყვიტეთ, ავსტრიასთან ორივე შეხვედრაში დაგვესვენებინა. ახლა უკვე ყველაფერმა გაუარა და დღეს პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით.

— ყველა სხვა კალათბურთელი მწყობრშია?

— არა, მიხეილ ბერიშვილს ცოტა მუხლი აწუხებს, ლაშა გამყრელიძე კი გაციებულია, ამიტომ გუშინ ორივე დავასვენეთ. დღესაც პირველ ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღიათ და მხოლოდ საღამოს შემოგვიერთდებიან. ნამდვილად არ გვინდა გარისკვა, ჯობს, ახლა დავასვენოთ და უშუალოდ თამაშებისას იყვნენ ფორმაში.

— მოსამზადებელი შეკრების პერიოდში გამართულ ამხანაგურ შეხვედრებს შევეხოთ, როგორ შეაფასებდით მათ?

— უკრაინით დავიწყოთ. იქ ორი მატჩიდან ერთი მოვიგეთ, მეორეში კი დავმარცხდით. იქიდან ლატვიაში გადავედით. რიგაში სამიდან ორი მოვიგეთ და მხოლოდ საფრანგეთთან წავაგეთ, თანაც სამი მეოთხედის მანძილზე ქულა ქულაში მიდიოდა დაპირისპირება და მხოლოდ დასკვნით ათწუთეულში გავტყდით. ამის შემდეგ კი ჯერ ჩეხეთს მოვუგეთ, ბოლოს კი ლატვიაც მივაყოლეთ.

უკრაინაც, საფრანგეთიც, ჩეხეთიცა და ლატვიაც უმაღლესი დივიზიონის გუნდები არიან და მათთან შეხვედრები კარგი გამოცდილება იყო, ეს უდავოდ წაგვადგა.

ავსტრიაში ჩამოსვლის შემდეგ კი მასპინძელთა ნაკრებთან ორი თამაში ჩავატარეთ და ჯერ ორი ქულით წავაგეთ, მერე კი სამით. თანაც ავსტრიელებთან გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტაირონ ელისი არ გვყავდა და ყველა კალათბურთელს ვაძლევდით თავის გამოჩენის საშუალებას.

— წელს კიდევ ერთი კარგი რამ მოხდა, წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჯერად ნაკრები კარგა ხანია, შეიკრიბა და საკმარისი დროც აქვს შესათამაშებლად, თანაც თითქმის უძლიერეს შემადგენლობას მოვუყარეთ თავი.

— ეს მართლაც ძალიან კარგია, წინა წლებში ამის საშუალება არ მოგვცემია. იყო შემთხვევები, რომელიმე მოთამაშე ზუსტად მატჩამდე ორი-სამი დღით ადრე შემოგვიერთებოდა ხოლმე, ახლა კი ასეთი რამ აღარ მოხდა. ყველაზე გვიან, 17 აგვისტოს ზაზა ფაჩულია ჩამოვიდა და ისიც ორ კვირაზე მეტია, გუნდთან ერთადაა.

მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ ნაკრებს წელსაც გამოაკლდა ერთი ძლიერი კალათბურთელი, საუბარი მაქვს მანუჩარ მარკოიშვილზე, ის ჩვენთვის დიდი ძალაა და მისი გამოკლება დასანანია. ახლა მის გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა.

— წინა წლებში ისეც ხდებოდა, რომ ძირითადად 6-7 კალათბურთზე მოდიოდა მთელი დატვირთვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს ისინი ძალიან იღლებოდნენ და ვეღარ ახერხებდნენ უმაღლეს დონეზე თამაშს, ახლა კი, როგორც ამხანაგური შეხვედრებიდან ჩანს, დატვირთვა ყველაზე ნაწილდება...

— ახლა მოსამზადებელი ეტაპია და შესაბამისად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ყველა კალათბურთელი დაიტვირთოს, რადგან, როცა ოფიციალური თამაშების დრო დადგება, ისინი მზად უნდა იყვნენ ნებისმიერ დროს თამაშში ჩასართავად და გუნდისთვის სარგებლის მოსატანად. ამიტომაა, რომ უამრავი ახალგაზრდა კალათბურთელი გამოვცადეთ, რამდენიმე მათგანი ბოლო მომენტამდე ნაკრებთან ერთად იყო, ახლა კი საბოლოო 12-კაციან განაცხადში ერთი ასაკით სხვებზე ბევრად პატარა კალათბურთელი დაგვრჩა — თორნიკე შენგელია. ისე, არც დიდი გამოცდილების მქონე მოთამაშეები არიან ასაკოვნები, ნაკრების საშუალო ასაკი ძალიან ახალგაზრდულია, რაც მომავლის იმედს გვაძლევს და დღესაც წარმატების გარანტია უნდა გახდეს.

**გიორგი არაბული**



# ლელომ რუსეთში დესანტი გადასხა თვითონ ახალი სისხლი გადაისხა

**შაბათს რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩები ჩათამაშდება. წრეებს შორის შესვენებაზე გუნდები შეძლებისდაგვარად ემზადებიან. ისედაც შეჭირვებულ და რიგიან მომზადებას მოკლებულ ქართულ კლუბებს ქვეყანაში, მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, ხელი შეუშალა. ჩვენი კლუბების უმეტესობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგეგმილი საზაფხულო შეკრებები ვერ ჩაატარა. ამ დღეში აღმოჩნდა გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი თბილისის „ლელოც“. ჩემპიონატის პირველი წრე ლელოებმა მეორე ადგილზე დაასრულეს და როგორც მათმა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა გვითხრა, არც მეორე წრეში აპირებენ პოზიციების დათმობას. ლევან მაისაშვილს გუშინ შევეხმიანეთ და მოსამზადებელ ეტაპზე ვკითხეთ...**

— ორიოდ დღეც და ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება, როგორ ვითარებაა გუნდში და როგორ ხვდებით განახლებულ სეზონს.

— სამწუხაროდ, ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო ბორჯომის ხეობაში დაგეგმილი საზაფხულო შეკრება ვერ ჩავატარეთ. მართალია, სიტუაცია ცოტა ჩაწყნარდა და შეგვეძლო ერთი კვირა მაინც წავსულიყავით სადმე, მაგრამ 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებამ მოგვისწრო. ჩემი გუნდიდან იქ ცხრა მორაგბეა მიწვეული. ასეთი დანაკლისით კი შეკრების ჩატარებას აზრი არ ჰქონდა.

— ესე იგი, თბილისში ვარჯიშობთ...

— კი, თბილისში ვვარჯიშობთ, ჩვენს ბაზაზე და საკმაოდ ნორმალურადაც.

— ახალი მოთამაშეები ხომ არ დაიმატეთ?

— დიახ, რამდენიმე მორაგბე დავიმატეთ. კიევის „ავიატორიდან“, ირაკლი დაუშვილი, „დინამოდან“ — გელა სირბილაძე, ლაშა აზალაძე და ირაკლი მირცხულავა, „ყოჩებიდან“ — ბაჩო ყალიჩავა, უნივერსიტეტიდან — ლევან გოგია და რატი ხუციშვილი. ეს მოთამაშეები „ლელოს“ ახალწვეულები არიან და დარჩენილ მატჩებში გუნდიდან წასულ მორაგბეთა ადგილებს შეავსებენ.

— ესე იგი, გუნდი ბევრმა მოთამაშემ დატოვა...

— დანაკლისი არცთუ მცირერიცხოვანია. „კრასნოიარსკში“ იჯარით გიორგი სანიკიძე გავუშვით, „ჩიტაში“ — ზურაბ ზაალიშვილი და დავით დაუშვილი, კიევში — ბექა თოფურია და პოლონეთში — ვახტანგ მაისურაძე. გიორგი მჭედლიშვილი საფრანგეთში, „მონტობანში“ გააგრძელებს კარიერას. გიორგი მენაბდიშვილმა კი დღე-დღეზე უნდა გააფორმოს კონტრაქტი ასევე ფრანგულ „მონპელიესთან“.

— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სატურნირო ცხრილში მოწინავე პოზიციების შენარჩუნება ხომ არ გაგიჭირდებათ?

— როგორც უკვე გითხარით, გუნდში ბევრი ახალი მორაგბე მოვიდა და ბევრიც წავიდა. სავარაუდოდ, ეს შეთამაშების პრობლემას გააჩენს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სეზონის ბოლოს მეორე ადგილს არ ჩამოვცდებით. უკეთეს შემთხვევაში პირველსაც დავიკავებთ. პლეი ოფებს კი ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით და ჩემპიონობის მოპოვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— ვის თვლით თქვენს უშუალო კონკურენტად?

— რა თქმა უნდა „ლოკომოტივს“. ეს გუნდი ცხრილის სათავეშიცაა და ამ შესვენების დროს ბევრი კარგი მორაგბეც დაიმატა.

— გუშინ „ყოჩების“ მთავარმა მწვრთნელმა ნიკო ჭავჭავაძემ გვითხრა, მიუხედავად ოთხი მარცხისა, საჩემპიონოდ მაინც კარგი შანსები გვაქვსო. ამის შესახებ რას იტყვით...

— „ყოჩები“ ამ სეზონში ტიტულს იცავენ, ეს კი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. მათ ძირითადი ბირთვი შეინარჩუნეს და შევსებაც მიიღეს. მართალია, პირველ წრეში ინერტულები იყვნენ, მაგრამ მეორეში ალბათ გამოასწორებენ თამაშის ხარისხს. ვნახოთ, წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის.

**ზურაბ მიგრიაული**



US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი



ნოვაკ ჯოკოვიჩი



როჯერ ფედერერი

# ძლიერნი ამა კორტისანი ბეწვის ხიდზე

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**ენდი როდიკი (8, აშშ) — ფერნანდო გონსალესი (11, ჩილე) 6:2 6:4 6:1; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ტომი რობრედო (15, ესპანეთი) 4:6 6:2 6:3 5:7 6:3; ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) 6:4 4:6 6:3 7:6; როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — იგორ ანდრეევი (23, რუსეთი) 6:7 7:6 6:3 3:6 6:3**

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — პატი შნიდერი (15, შვეიცარია) 6:1 6:4; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — სიბილ ბამერი (29, ავსტრია) 6:2 6:3**

**ყველაფერს** ისეთი პირი უჩანს, რომ თანამედროვე კაცთა ჩოგბურთის დიდი სამეული მაგრად გავთვალეთ. საკმარისი იყო დაგვეწერეა სამივე პრობლემების გარეშე, სულ გრიალით მიიწევენ წინო, რომ ყველას ლამის ბეწვის ხიდზე მოუწია გასვლა — რაფაელ ნადალის სემ ქუერეისთან ჯახირზე უკვე მოგახსენეთ. დღეს კი როჯერ ფედერერისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის თავგადასვლებზე უნდა ვისაუბროთ, რადგანაც გუშინ მეოთხედფინალის საგზურის გასანაღდებლად ორივეს სულისა და გულის კორტზე დატოვება მოუხდა.

ფედერერით დავიწყოთ, რომელსაც გუშინ თითქოს თავიც არ უნდა წამოსტკიებოდა. კი ბატონო, შვეიცარიელი წლეულს ისე დამაჯერებელი ვერაა, როგორც მიგვაჩვია და მის მიერ უკვე წაგებული 12 მატჩი იმდენივეა, რამდენიც გასულ ორ სრულ სეზონში. მაგრამ ჯერ ერთი, ალპელი „ფლეშინგ მედოუზზე“ აქამდე ძალიან დამაჯერებელი იყო და პირველი სამი მატჩი ნერვაუტოკებლად მოიგო. ამასთანავე, ერთია ნადალთან წაგება, რომელიც წლეულს მართლაც საოცრად ჩოგნაობს და მეორე, იგორ ანდრეევისგან გასილაქება. ეს რუსი ხომ ჩვეულზე ჩვეული მეჩოგნეა, რომელსაც კარიერის განმავლობაში თავი განსაკუთრებულად არაფრით გამოუჩენია, თან თურამეს მიუღწევია, მხოლოდ თიხნარზე. ეს შეხვედრა კი ნიუ იორკულ ჰარდზე იმართებოდა და ამიტომ ალპელსაც ყველა.ადვილ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა.

მაგრამ ანდრეევმა „მხიარული როჯერი“ ძალიან გააწვალა და იმ დონემდე მიიყვანა, რომ რობოტად შერაცხულ შვეიცარიელს აიძულა თავისი ადამიანური მხარე ეჩვენებინა. დიახ, მუდმივად დინჯი და წყნარი ალპელი გუშინ მართლაც ძალიან ემოციური იყო — მოგებული გათამაშებების შემდეგ მუშტს შემართავდა ხოლმე გამარჯვების აღსანიშნად, შეცდომის დაშვების შემდეგ კი იმედგაცრუებისგან ყვიროდა. ყოველთვის გაწონასწორებული შვეიცარიელის ასეთ ყოფაში ხილვა უჩვეულო და საინტერესოც იყო.

თამაში კი თავიდანვე თანაბრად დაიწყო და ამიტომ საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც რუსმა იყოჩაღა. მეორე სეტშიც იგივე მდგომარეობა იყო, ეგ კი არა ანდრეევი უფრო ახლოს იყო წარმატებასთან, რადგანაც 7 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. თუმც ალპელმა შეძლო საკუთარი მოწოდების დაცვა, რითაც დიდ პრობლემებს დააღწია თავი — ძალიან საეჭვოა გუშინდელი თამაშით ორსეტიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეძლებოდა. მოკლედ, საქმე კიდევ ერთ საჩოგბურთო ლატარიამდე მივიდა, სადაც უკვე ფედერერმა იმარჯვა.

ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა კიდევ გაცვალეს სეტები და გადამწყვეტი პარტიის ჯერიც დადგა. აქ ყველაფერი შვეიცარიელის უპირატესობით დაიწყო, რადგანაც მან თავიდანვე გააკეთა ბრეიკი და 2:0 დაწინაურდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ როჯერი უფრო მიჩვეულია ასეთ დაძაბულ სიტუაციებთან გამკლავებას. ამასთან ანდრეევს მკლავიც აუკანკალდა — მან ამ დროს ალბათ პირველად დაიჯერა, რომ რეალურად შეეძლო ალპელის დამარცხება და ამიტომაც ანერვიულდა. ასეა თუ ისე, ფედერერმა უპირატესობა მოიპოვა და ავად თუ კარგად ბოლომდე შეინარჩუნა. არადა, 4:2-ზე ანდრეევმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და მსოფლიოს მეორე ჩოგანს კიდევ 4 ბრეიკ-პოინტის განეიტრალება მოუწია.

„როცა ერთი სეტი წაგებული გაქვს და მეორეშიც არ მიდის ყველაფერი კარგად, იმედს ებღაუჭები, რომ როგორმე შეძლებ მატჩის მიმდინარეობის შემოტრიალებს. ჰოდა, დღეს მე ეს მოვახერხე. ამდაგვარი ხუთსეტიანი ბატალიები არცთუ ხშირად გადამიტანია, მაგრამ მათი მოგება განსაკუთრებულად სასიამოვნოა“ — კარგ ხასიათზე იყო ნამატჩევს ფედერერი.

ახლა ალპელს თავისი ზედიზედ მე-18 სასლემო ნახევარფინალმდე მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაღა რჩება. ამ ნაბიჯის სახელი კი ჟილ მიულერია, ციცქნა ლუქსემბურგის წარმომადგენელი, რომელიც წლევანდელი აშშ-ს ღია პირველობის უმთავრეს აღმოჩენად იქცა.

ეს ბიჭი ტიტულებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. მისი უმთავრესი მიღწევა კი ალბათ ის არის, რომ აქ სამი წლის წინ მეორე წრეში ენდი როდიკი ჰყავს დამარცხებული. ამის გარდა ძნელია ლუქსემბურგელის მიღწევებიდან რამე გამოარჩიო, მაგრამ აგერ ახლა ნამდვილი ფურორი კი მოახდინა. გუშინ კი ბენელუქსელმა სასწაული ჩაიდინა და წლის ბოლო სლემტურნირი რუსებისგან საბოლოოდ გაწმინდა, როცა მეხუთე ნომრად განთესილი ნიკოლაი დავიდენკო მიჩოგნა. შედეგად მიულერი აშშ-ს ღია პირველობის ისტორიაში კვალიფიკაციიდან ძირითად ბადეში მოხვედრილი მხოლოდ მეორე ჩოგბურთელია, რომელმაც მეოთხეფინალში გასვლა შეძლო.

„სიმართლე გითხრათ საკუთარი თამაში ჩემთვისაც სიურპრიზია. მე ხომ ამ ტურნირისთვის კარგად მომზადება ვერ მოვასწარი. ვარჯიში კვალიფიკაციის პირველ თამაშამდე ორი დღით ადრე დავიწყე და ამიტომ წაგებას ძლივს გადავურჩი. თუმც მერე ყველაფერი კარგად აეწყო და აგერ ახლა სად ვარ. ამას ვერც წარმოვიდგენდი — სლემტურნირების მეოთხედფინალებს, როგორც წესი, სახლში ჭიქა ლუდთან ერთად ტელევიზორში ვუცქერ ხოლმე. ახლა კი მასში მონაწილეობა უნდა მივიღო“ — განაცხადა მიულერმა.

დავიდენკო კი აშკარად ვერ იყო ხასიათზე. კოლიამ ვერ აიტანა ლუქსემბურგელთან დამარცხება და ჩვენს მიერ აგვისტოში საკუთარ ტყავზე გამოცდილი წმინდა რუსული „ჯენტლმენობა“ გამოიჩინა — ბოლო გათამაშების წაგების შემდეგ ჩოგანი ისე ძალუმად დაახეთქა კორტზე, რომ საჩოგბურთო ატრიბუტი ტრიბუნაზე ავარდა. ამისთვის სლავს გაფრთხილებაც აკრეს და ეგებ ჯარიმაც გადაახდევინონ.

ახლა კი ჯოკოვიჩზე ვთქვათ, რომელმაც გუშინ სასწაული ნებისყოფა გამოიჩინა. სერბმა ნათლად დაგვანახა, რომ მიზნის მისაღწევად ადამიანს თითქმის ყველაფრის გადატანა შეუძლია. ნოვაკმა მართლაც ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე გაიარა და ტრავმების მთელი კასკადის მიუხედავად ტომი რობრედოს მაინც გამოსტაცა მეოთხედფინალის საგზური.

„ფავორიტი ალბათ მე უფრო ვიქნები. მგონი მას 12 სხვადასხვანაირი ტრავმა აწუხებს“ — მოგვიანებით იტყვის ჯოკოვიჩის მომდევნო მეტოქე ენდი როდიკი, როცა შეეკითხნენ სერბს თუ უფრთხითო.

ამერიკელი სიმართლისგან შორს ნამდვილად არ ყოფილა. ნოვაკმა გუშინ სამჯერ გამოიძახა ექიმი კორტზე, რომ ცოტა სული მოეთქვა — ამ ბიჭს თანმიმდევრობით ატკივდა ბარძაყი, კოჭი, მუცელი და ზურგი, ბოლოს კი სუნთქვასთან შეექმნა პრობლემები. და ყველაფერ ამის მიუხედავად ბალკანელმა კორტზე ხუთი სეტი გაძლო და მაინც იმარჯვა. მართალია, ჯოკოვიჩს რობრედოც კარგად დაეხმარა, როცა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს სერბის გამძლეობასა და სიმამაცეს.

ჰოდა, ის, რომ ბოლო მომგებიანი ქულის შემდეგ ნოვაკმა მოჭარბებული ემოციები მკერდზე მჯიღის რტყმევით აღნიშნა, სრულიად გასაგები იყო — ის ქების მეტს მართლაც არას იმსახურებდა.

„როგორღაც შევძელი მოგება“ — დაღლილობისგან ძლივსღა ლუღლუღებდა პრეს-კონფერეციაზე სერბი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თუ დროულად არ მოვიდა ჯანზე, ჯოკოვიჩს როდიკთაც შეხვედრაში კარგი ნამდვილად არაფერი „ემუქრება“ — ნოვაკის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ენდიბიჭი ჭეშმარიტებას ღაღადებდა, როცა იძახდა თავი ფავორიტად მიმაჩნიაო. მით უმეტეს თუ იანკის გუშინდელ ჩოგნაობას გავითვალისწინებთ, როცა მან სასტიკად გაბრდღვნა პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ფერნანდო გონსალესი.

კაცთა შეხვედრების ფონზე როგორღაც ჩრდილში მოექცა ქალთა შორის გამართული პირველი მეოთხედფინალები, რაც გასაკვირი სულაც არ გახლავთ — არც ერთ მათგანში ბრძოლის მაგვარიც კი არ გამართულა. ორმა ელენამ — დემენტიევამ და იანკოვიჩმა პირწმინდად დაჩაგრეს თავიანთი მეტოქეები.

განსაკუთრებით მაინც დემენტიევას თამაშია გამოსარჩევი, რომელიც მართლაც ძალიან კარგ ფორმაშია. რუსი ნახევარფინალამდე ძალიან დამაჯერებლად მივიდა — პეკინში ოქროს მოგების შემდეგ ის პირველ კარიერულ სლემტიტულის სერიოზულად უმიზნებს. გუშინ კი დემენტიევას მორიგი მსხვერპლი პატი შნიდერი გახდა, რომელმაც ისღა მოახერხა, რომ მთლად კატასტროფულად წაგებას გადაურჩა და ხუთი გეიმის აღება შეძლო.

იგივე სცენარით წარიმართა იანკოვიჩის სიბილ ბამერთან შეხვედრაც — სერბი მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა. ამ მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კი ალბათ ის იყო, რომ ფედერერ-ანდრეევის ჯახის გაწელვის გამო ეს მეოთხედფინალი ცენტრალურიდან პირველ კორტზე გადაიტანეს. უშუალოდ მატჩში კი საინტერესო არაფერი მომხდარა.

**კახა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ბრიტანელი კარგი ბიჭი



**ჯეიმს საიმონ უოლის ჰანტი**

**ინგლისი**

დაიბადა 1947 წლის 29 აგვისტოს სურეის საგრაფოს ეფსომში

გარდაიცვალა 1993 წლის 15 ივნისს

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1973-1979 წლებში

მსოფლიოს 1976 წლის ჩემპიონი

92 რბოლა, 10 მოგება, 23 (10+6+7) პოდიუმი,

14 პოულ-პოზიცია, 8 უსწრაფესი წრე, 179 ქულა

გუნდები: „მარჩი“ (1973-1974), „ჰესკეტი“ (1974-1975), „მაკლარენი“ (1976-1978), „ვოლფი“ (1979)

**ფორმულა 1-ში მსოფლიოს მე-15 ჩემპიონი ჯეიმს ჰანტი ამ დღეებში 61 წლის გახდებოდა. იგი 15 წლის წინათ გარდაიცვალა — ყველაზე ახალგაზრდა იმ გვირგვინოსანთა შორის, ვინც „თავისი სიკვდილით“ აღესრულა და არა ტრასაზე. ინგლისელი პილოტი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორი იყო, ტიტული 29 წლისამ მოიპოვა, ლეგენდარულ ბრიუს მაკლარენის გუნდში გამოსვლის პირველივე სეზონში. ახალ საჯინიბოში სადებიუტო წელსვე გაჩემპიონება უიშვიათესი ამბავია, მანამდე სულ ორჯერ აღინიშნა. გამორჩეული პირადული თვისებებითა და სამძღოლო ოსტატობით ჯეიმსი თავიდანვე ბრიტანელ გულშემატკივართა კერპი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს „სამეფო რბოლებში“ ექსტრაკლასის სხვაც ბევრი ასი დაქროდა**

### ჩოგბურთელი ავტომრბოლი

ჯეიმს ჰანტი 61 წლის წინათ ლონდონის მახლობლად, სურეის საგრაფოს ეფსომში დაიბადა, არისტოკრატიული ფესვების მქონე საშუალო შეძლების ოჯახში. მამამისი მაკლერად მუშაობდა, ჯეიმსმა ორი კოლეჯი დაამთავრა და სამედიცინო კარიერისთვის ემზადებოდა. მშვენივრად თამაშობდა ჩოგბურთს და უიმბლდონის ჭაბუკთა ტურნირშიც კი გამოსულა, მაგრამ ყველაფერს ავტომრბოლობა ამჯობინა.

დაიწყო 1967 წელს „მინის“ კლასით და მალე ყურადღებაც მიიქცია უფრო იმით, რომ ხშირად ხვდებოდა ავარიაში და მანქანას მანქანაზე ამტვრევდა. თანაც შფოთიანი ზნე ჰქონდა — ერთხელ, „კრისტალ პალასის“ ტრასაზე რბოლისას, შეჯახებით გაწიწმატებულს საკმაოდ ჯანიანი მეტოქე დეივ მორგანი შემოელახა.

„მინიში“ ჯეიმსი დიდხანს არ შეჩერებულა და ჯერ „ფორმულა ფორდში“ გადავიდა, შემდეგ კი უფრო მაღალ ფორმულა 3-ში. იმხანად რბოლებში მონაწილეობისთვის ფულს ჰოსპიტალში სანიტრობით შოულობდა. მერე ახალშექმნილი „მარჩის“ მანქანით რამდენიმე რბოლა ჩაატარა და სწრაფი და ტექნიკური მძღოლის სახელიც გაუვარდა, თუმც იღბალი არ სწყალობდა. როცა „მარჩის“ ერთ-ერთ ბოს მაქს მოსლისთან გაუთავებელი კონფრონტაციის გამო გუნდის დატოვება მოუხდა, მაშინვე მიიწვია ლორდმა ალექსანდრ ჰესკეტმა. ლორდს ავტოსპორტი ლამის ბავშვობიდან იტაცებდა და როცა სოლიდური მემკვიდრეობა ერგო, საკუთარი სიამოვნებისთვის თითქმის მთელი ქონება ფორმულას დაახარჯა.

ჰესკეტმა ჰანტისთვის შეიძინა „ფორდ-კოსუორტის“ ძრავიანი ახალი „მარჩ 731“ და 1973 წლის ჩემპიონატში ჩაება შუა სეზონიდან. დებიუტი 3 ივნისს მონტე კარლოში შედგა და, როგორც ხშირად ხდება, პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა — ჯეიმსს ფინიშამდე ხუთი წრით ადრე ძრავამ უმტყუნა. შემდგომში ვითარება თანდათან გამოკეთდა, ექვს რბოლაში ორჯერ კვარცხლბეკზე შედგა, ორჯერ წრეზე უსწრაფესი დროც აჩვენა და 14 ქულით გენერალურ კლასიფიკაციაში საპატიო მერვე ადგილზე გავიდა.

იმავე წელს ჰანტმა პირველი გამარჯვება იზეიმა სამშობლოში, ოღონდ არა საჩემპიონატო კატეგორიაში — „სილვერსტოუნის საერთაშორისო თასზე“, რამაც უჩვეულო იმიჯთან ერთად კოლოსალური პოპულარობა მოუტანა.

ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა ჰესკეტმა უფრო სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი, სწორედ „მარჩიდან“ ახალგაზრდა, ნიჭიერი კონსტრუქტორი ჰარვი პოსტლუტუაიტი გადაიბირა და მისი ხელით შექმნილი „ჰესკეტ 308-კოსუორტი“ გაიყვანა 1974 წლის ჩემპიონატში. შედეგი წინა სეზონის იდენტური იყო — სამი პოდიუმი, 15 ქულა და ისევ საბოლოო მერვე პოზიცია, მერე კი პირველი დიდი გამარჯვების დროც დადგა: 1975 წლის 22 ივნისს ჰანტმა ჰოლანდიის დიდი პრიზი მოიგო. ზანდვოორტის ტრეკზე ხან წვიმდა, ხანაც იდარებდა. ჯეიმსმა გარისკა და სხვებზე ადრე შეცვალა საწვიმარი საბურავები „სლიკით“. ამან გასაოცრად გაუმართლა, დისტანციის დარჩენილ მანძილზე გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და ფინიშთან წამით მიასწრო კვალიფიკაციის მომგებ ნიკი ლაუდას („ფერარი“), რომელმაც იმ წელს პირველად მოიპოვა ჩემპიონობა. ბრიტანელმა კი ერთი მოგებით, ოთხი საპრიზო ადგილითა და 33 ქულით გენერალურში მეოთხე საფეხური დაიკავა.

საწყენია, რომ ეს ალექსანდრ ჰესკეტის გუნდის ერთადერთი გამარჯვება აღმოჩნდა. ლორდის ჯიბე უძირო არ ყოფილა, ფინანსური პრობლემები დაეწყო და „სამეფო რბოლებიდან“ წავიდა.

### საჩემპიონო მაკლარენში

ჰანტზე ტაციაობა გაჩაღდა, ვერ ვიტყვით, თუმც სამმა საჯინიბომ მოისურვა უკვე უზომოდ პოპულარული, ნიჭიერი პილოტის მიწვევა. მათ შორის იყო „ბრებემის“ მეთაური ბერნი ეკლსტოუნი, „ლოტუსის“ მენეჯერმა კოლინ ჩეპმენმაც მაცდური ვარიანტი შესთავაზა, მაგრამ ყველაზე მეტად „მალბოროს“ მარკეტინგის დირექტორმა ჯონ ჰოგანმა იაქტიურა და 1976 წელს ჯეიმსი „მაკლარენში“ აღმოჩნდა.

28 წლის თავისნება და ცხოვრების თავისუფალი სტილის მიმდევარი ინგლისელი კერძო ერთპილოტიანი გუნდიდან უცბად გაცილებით სერიოზული და მკაცრად ოფიციალური ურთიერთობის სფეროში მოხვდა — „მალბორო-მაკლარენი“ მაშინ უკვე გამორჩეულად პროფესიული ორგანიზაცია იყო. კონტრაქტი ფინანსურად ძალიანაც მიმზიდველი არ ჩანდა, მაგრამ ჰანტი ძლიერი, კონკურენტუნარიანი მანქანის საჭესთან დაჯდომის შესაძლებლობით მოიხიბლა.

სეზონი-76 „სამეფო რბოლების“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, დრამატული და ამასთან სკანდალურიც გამოდგა. გვირგვინოსანი ბოლო ეტაპის ბოლო წრეზე გაირკვა და ისიც მინიმალური, ერთქულიანი განსხვავებით.

სატიტულო ბრძოლა ჰანტისა და ლაუდას დუელით აღინიშნა. ნიკის და ჯეიმსს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ, ჯერ კიდევ ფორმულა 2-ში ერთად დაჯირითობდნენ და ურთიერთსიმპათიასაც გრძნობდნენ. ოღონდ მათ გუნდებს შორის „სითბო“ გამორიცხული იყო და მრბოლებიც, ბუნებრივია, ჩემპიონატში შეურიგებელ „მტრებად“ იქცნენ.

უპირატესობა თავიდანვე ლაუდას მხარეს იყო — საწყისი ექვსი ეტაპიდან ოთხი მოიგო, ორჯერაც პოდიუმის მეორე საფეხურზე იდგა და უკვე შუა სეზონში მის ზედიზედ მეორე ტრიუმფში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რაკი ჯეიმსი ავსტრიელს კატასტროფულად, 35 ქულით ჩამორჩებოდა.

ჰანტმა პირველი გამარჯვება ესპანეთში მოიპოვა, მაგრამ დისკვალიფიცირებული იქნა, რადგან მისი „მაკლარენის“ უკანა მხარე ნორმაზე 18 მილიმეტრით ფართო აღმოჩნდა. გუნდის აპელაციის შემდეგ, მოგვიანებით ინგლისელს მოგება დაუბრუნეს, რადგან მსაჯებს გაზომვისას არ შეუმოწმებიათ, იყო თუ არა საბურავები საჭირო წნევამდე დაბერილი. მაგრამ ჯეიმსს ახლა მეორე სკანდალ-დისკვალიფიკაცია ელოდა. ინგლისში მას მოგება წაართვეს „ფერარის“ საჩივრის გამო.

ამბავი ასე იყო: „ბრენდს ჰეჩზე“ პირველივე მოსახვევში ლაუდა და მისი თანაფერარელი კლეი რეგაცონი ერთმანეთს შეეჯახნენ. იქვე „რეგას“ ბოლიდს ჰანტისა და ფრანგ ჟაკ ლეფიტის მანქანები ეტაკა. ამ დომხალის გამო მსაჯებმა რბოლა გააჩერეს. ბოქსში დაბრუნებისას ჯეიმსმა ერთი მონაკვეთი მოჭრა. ბუნებრივია, ეს წესის დარღვევაა და ვიდრე „მაკს“ არემონტებდნენ, ავტოდრომზე გამოცხადდა, რომ ჰანტი რესტარტიდან მოიხსნა. უნდა გენახათ ქომაგთა გაცოფება, ავტოდრომის ტრიბუნები ლამის ჩამოინგრა. მოკლედ, წესია თუ არა, ორგანიზატორებმა, ეტყობა, დებულებაზე თვალი დახუჭეს და ჯეიმსიც სხვებთან ერთად ხელმეორედ გავარდა მოგებისკენ. თანაც როგორ, ეს არა მხოლოდ მისთვის ფანტასტიკური, საკარიერო დიდბრძოლა გახდა, ერთ-ერთ მოსახვევში ლაუდა „ბავშვივით“ გამოიჭირა, შიდა მხრიდან ტექნიკურად შეეჭრა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. მაგრამ ეს მოგებაც ჩამოართვეს, და, როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ და დაუბრუნებლად.

შემდეგ მაკლები იტალიის გრან პრის წინ შარში გაეხვნენ. წესით, საწვავის მაქსიმალური ოქტანის რიცხვი, იტალიელთა მტკიცებით, იყო 100, ხოლო მაკელთა ბენზინში ის 101,6-ს შეადგენდა. ერთი სიტყვით, „მაკლარენის“ და „პენსკეს“ პილოტები ამ დარღვევის გამო დასაჯეს, და ისინი იძულებულნი გახდნენ, სტარტი ბოლო პოზიციებიდან აეღოთ. ამით მასპინძლებმა — მონცა ხომ „ფერარის“ ტერიტორიაა — გვარიანი უპირატესობა მიიღეს, ეგაა, ძალიანაც ვერ იხეირეს, ფინიშზე რეგაცონი მეორე იყო, ლაუდა კი მხოლოდ მეოთხე. ჰანტი მორიგი მეტოქის, კერძოდ, ტომ პრაისის გასწრებისას ტრასიდან გავარდა და ბოქსში ფეხით დაბრუნებისას აგრესიული ტიფოზები მას აფურთხებდნენ და შეურაცხმყოფელი შეძახილებით „ამკობდნენ“.

ლაუდა „ნიურბურგრინგზე“ გერმანიის გრან პრისას კინაღამ ცოცხლად ჩაიწვა თავის „ფერარიში“ და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. მართალია, თვენახევარში დაუბრუნდა ჩემპიონატს, მაგრამ მის არყოფნაში ჰანტმა ორი რბოლა მოიგო, მერე კიდევ ორი მიაყოლა და დასკვნით, იაპონური ეტაპის წინ ავსტრიელის გიგანტური სხვაობიდან სამი ქულაღა დარჩა.

### ბოლო წრის ტრიუმფი

იაპონური ეტაპი იმ წელს პირველად ჩატარდა და საშინელი მეტეოპირობების მიუხედავად, ბედად, დებიუტი უმსხვერპლო გამოვიდა. არადა, სტარტს ისეთი თავსხმა დაერთო, რომ პრაქტიკულად ნულოვანი ხილვადობის გამო ყველა პილოტი რბოლის გადადებას მოითხოვდა, მაგრამ ორგანიზატორებმა ყურიც არ შეიბერტყეს. ჯეიმსს ჩაფხუტი მექანიკოსებმა რამდენიმე ადგილას გაუხვრიტეს კიდეც, რათა „ფანჯარა“ არ დაორთქლილიყო. ყველანი დამორჩილდნენ ლაუდას გარდა, მან ორჯერ შემოუარა დატბორილ ტრეკს და მანქანიდან გადმოვიდა: „მსოფლიოს ჩემპიონობა ასეთ სულელურ რისკად არ ღირს. ჩემი სიცოცხლე ნებისმიერ ტიტულზე ძვირფასია.“

ამის შემდეგ უკვე ისე ჩანდა, რომ აღარავის შეეძლო ჰანტისთვის გვირგვინის მოპოვებაში ხელის შეშლა, თანაც სამისოდ [illegible] ადგილიც ეყოფოდა. [illegible] ზიციას ფინიშამდე ათი წრით ადრე უპრობლემოდ ინარჩუნებდა, მაგრამ ამ დროს წვიმა შეწყდა, ტრეკი მალე გაშრა და ჯეიმსსაც სხვებივით საბურავების პრობლემა შეექმნა, ორივე მარცხენა ბორბალი გაეხვრიტა და იძულებული გახდა, შესაცვლელად შეყოვნებულიყო. ტრასაზე მეხუთე დაბრუნდა და ტიტულის შანსიც დაკარგული ჩანდა, მაგრამ ჯეიმსმა სასწაული მოახდინა — ჯერ „რეგას“ გაასწრო, ბოლო წრეზე კი ალან ჯოუნსის „სარტისიც“ მოინელა, ფინიშთან მესამე მივიდა და საოცნებო ტიტულიც დაისაკუთრა. გენერალურ კლასიფიკაციაში მან ლაუდას ერთი ქულით გაასწრო.

ჩემპიონმა მომდევნო სეზონში სამი რბოლის მოგება კი მოახერხა, მაგრამ გენერალურში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა, ჩემპიონ ლაუდას თითქმის ორმაგი, 32-ქულიანი სხვაობით ჩამორჩა.

1978 წელს ვითარება უფრო გაუარესდა — ერთადერთი, თანაც მესამე საპრიზო ადგილი, სულ რაღაც რვა ქულა და სამარცხვინო მე-13 საფეხური საბოლოო ჩათვლაში. მოკლედ, მაკური რესურსი ამოწურული იყო და ჰანტმაც „ვოლფ-ფორდში“ სცადა ძალა, სადაც მისი ძველი მეგობარი პოსტლუტუაიტი კონსტრუქტორობდა, მაგრამ კატასტროფული იმედგაცრუება ელოდა — 1979 წლის ჩემპიონატის საწყისი შვიდი ეტაპიდან ექვსში ფინიშამდე ვერ მიაღწია და მოთმინების ფიალაც აევსო.

ბრიტანელ ქომაგთა კერპმა ადრეულ ასაკში, 31 წლისამ დაასრულა „სამეფო“ კარიერა მონტე კარლოში, სწორედ იქ, სადაც ექვსი წლით ადრე მისი დებიუტი შედგა.

### ადრეული ფინიში

ჰანტი თანდაყოლილი არისტოკრატული ელეგანტურობის მიუხედავად, არაფრად აგდებდა ელიტარულ ეთიკას, ოფიციალურ მიღებაზეც კი დახეული მაისურით და გახეხილი ჯინსებით ცხადდებოდა.

„მრბოლ-პოპვარსკვლავის“ მისეული იმიჯი გულწრფელი იყო, რასაც სათანადოდ ავსებდა მეუღლე სიუზი, მაგრამ მათი თანაცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა და ცოლი მსახიობ რიჩარდ ბარტონთან გაექცა.

მისმა საყოველთაო მომხიბვლელობამ, უფრო ზუსტად რომ ითქვას, სარეკლამო იმიჯმა და თანაც ბუნებრივია, ავტოტექნიკური ნიუანსების უნაკლოდ ცნობამ ტელევიზიის ყურადღებაც მიიპყრო. კომპანია BBC-იმ ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა და ჯეიმსმაც ჭიპმოჭრილ კომენტატორ მარი უოკერთან ერთად საპირველფორმულო რეპორტაჟების გაძღოლა დაიწყო. სარბოლო ვითარების გადმოცემის სერიოზულმა და უკომპრომისო, მაღალპროფესიონალურმა მანერამ ამ მეორე სარბიელზეც უზარმაზარი პოპულარობა მოუტანა. ამბობდნენ, მიკროფონთან ჰანტის მისვლით საფორმულო ტელეაუდიტორია ასჯერ გაიზარდაო.

სამწუხაროდ, კომენტატორის ჯიხურში ჯდომა დიდხანს არ დასცალდა. მისი ხანმოკლე სიცოცხლე 1993 წლის 15 ივნისს, კანადის გრან პრის რეპორტაჟის დასრულებიდან რამდენიმე საათში მოულოდნელად შეწყდა. 45 წლის ჯეიმს ჰანტს გულმა უმტყუნა.

**გია ახალაძე**

# იამაიკისთვის ლოზანა ია-ვარდით მოიფინა




**ჯერ** ნუ ჩამომწერთ, რაც აქამდე მირბენია, იმაზე სწრაფად სირბილიც შემიძლიაო — თქვა მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა ასაფა პაუელმა შვეიცარიულ ლოზანაში სუპერ გრან პრიზე გასვლის წინ, მერე კი ნათქვამი საქმითაც განამტკიცა, როცა 100 მეტრი 9,72 წამში დაფარა და პირად რეკორდს, რომელიც ოდესღაც მსოფლიო რეკორდიც იყო, 0,02 წამი ჩამოაჭრა.

ამ შედეგით პაუელი მსოფლიოს ყველა დროის მეორე უსწრაფესი ადამიანი შეიქნა უსაინ ბოლტის შემდეგ, რომელსაც ეკუთვნის პეკინის ოლიმპიადაზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი — 9,69 წამი და აგრეთვე ურბენია 9,72 წამშიც, რითაც პაუელს 2007 წლის 9 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაფლავების „აღსანიშნავად" ნაჩვენები 9,74-წამიანი რეკორდი 2008 წლის 31 მაისს გაუხუნა, შემდეგ კი ოლიმპიადაზე თამასა კიდევ უფრო ასწია.

გამოდის, ბოლტი რომ არ გადაღობოდა გზაზე, საუკეთესო დრო პაუელს ექნებოდა. მაგრამ საკითხს მეორე მხრიდან რომ შევხედოთ, ირბენდა კი პაუელი ასეთ დროში, ბოლტს რომ არ აეჩქარებინა?

ვარაუდები იქით იყოს, პაუელი 9,72-წამიანი შედეგით „საქმეში დაბრუნდა". ლოზანაში ის დროს ითხოვდა — უფრო სწრაფად სირბილი კი შემიძლია, მაგრამ ცოტა ხნით მადროვეთ, ტრავმებს მოვირჩენ და მერე მიყურეთო. მაგრამ თავად აღარ მოიცადა, სხეული ბოლომდე დატვირთა და აი, შედეგიც!

საზოგადოდ, ლოზანას სუპერტურნირი სუპერწარმომადგენლობითიც იყო. თუნდაც 100 მეტრის ფინალში რვა ოლიმპიური ფინალისტიდან ხუთი მონაწილეობდა და რიგიანი შედეგებიც დაფიქსირდა. პაუელის კვალად მეორე ადგილი დაიკავა ოლიმპიადაზე მესამეზე გასულმა ამერიკელმა უოლტერ დიქსმა (9,92) მესამე-მეოთხენი კი ისევ იამაიკელები იყვნენ — პაუელის სპარინგპარტნიორი და უახლოესი მეგობარი ნესტა კარტერი (9,98) და მაიკლ ფრატერი (10,04).

რაც შეეხება მის უცანცარესობა უსაინ ბოლტს, მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა ლოზანაში ჩასვლა ინება, ოღონდ იქ პაუელს ნერვები არ მოუშალა და მხოლოდ 200 მეტრის სტარტზე გავიდა, სადაც უიოლესად აჩვენა ყველა დროის მეოთხე შედეგი — 19,63 წამი. ბოლტს ფეხდაფეხ მისდევდნენ სულ დარჩეული ბიჭები — ვოლეს სპირმონი, შონ კროუფორდი, ჩურანდი მარტინა, ბრაიან ძინგაი... მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ პირველ 100 მეტრზე, რკალზე, სწორზე გასვლის შემდეგ კი ბოლტი თავის გრძელი კანჭებით ერთბაშად დაწინაურდა ბოლო 60 მეტრი ჩვეულად მოუკლო ტემპს და... მაინც 0,61 წამი მოუგო მეორეზე გასულ ჩურანდი მარტინას. ეს იამაიკელი ბიჭი არანორმალურად სწრაფია, ძნელი წარმოსადგენია, მას ვინმემ გაასწროს, თუ თავად არ მისცა ამის ნება. პაუელს კიდევ აქვს გადასატანი მასთან მარცხები და არავინ იცის, როგორ გადაიტანს.

და განა მხოლოდ პაუელის და ბოლტის ჭვრეტით ერთობოდა ლოზანას მყუდრო სამძლეოსნო სტადიონზე შეკრებილი 16 ათასამდე შვეიცარიელი. იქ კიდევ არაერთმა იამაიკელმა გაიელვა. კაცებს არც ქალები ჩამორჩნენ და იამაიკის ჰიმნი კიდევ ოთხჯერ დააკვრევინეს გრან პრის ადმინისტრატორს.

ქალთა 100 მეტრზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა შელი-ენ ფრეზერმა ლოზანაში ოდნავ ნელა ირბინა, ვიდრე პეკინში, თუმცა 11,03 წამიც ეყო მოსაგებად. მას დიდი შეჯიბრი გაუჩაღა პეკინშიც მეორეადგილოსანმა კერონ სტიუარტმა (11,06) და ამ ორი ძუ იამაიკელი ავაზის გადამკიდე დანარჩენებს მხოლოდ „სუფრის ნარჩენებისთვის" ბრძოლა მოუხდათ.

იამაიკელმა გოგონებმა მოიგეს 400 ჩვეულებრივი მეტრი, 400 თარჯრბენი და 100 თარჯრბენი. 400 მეტრზეც პირველ-მეორეები ამ კუნძულის მკვიდრნი იყვნენ — ნოულენ უილიამსი (50,33) და მისი მოგვარე შერიკა (50,47). 100 თარჯრბენში 12,60 წამით იპირველა დელორინ ენის-ლონდონმა. ორი ცნობილი ამერიკელი დაუნ ჰარპირი და ლოლო ჯონსი კი მეორე და მეოთხე ადგილებს დაყაბულდნენ. 400 თარჯრბენში მელანი უოლკერი ოლიმპიური ჩემპიონის პრესტიჟს მოუფრთხილდა და 53,73 წამში გაიფორმა პირველობა.

ორიოდ აბზაცი არაიამაიკელებზეც: კაცთა 400 მეტრზე ოლიმპიური პოდიუმის ორი წევრი გაიქცა და მათ პირველი ადგილიც ერთმანეთში გაითამაშეს. ჩემპიონმა ლაშონ მერიტმა აქაც იმარჯვა, -44-წამიანი შედეგით — 43,98. პეკინის ბრინჯაოსანი ანჯელო ტეილორი მეორე იყო. მესამე ამერიკელი ჯერემი უორინერი ლოზანაში არ ჩასულა, მით უფრო, რომ ორიოდ დღის წინ მან სხვა შვეიცარიულ ქალაქ ციურიხში ოქროს ლიგის მორიგ ეტაპზე დახარჯა ენერგია.

ლოზანაში ხელ-ფეხი მოეცარა 110 თარჯრბენის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს დეირონ რობლესს, თუმც ნუ გავაკრიტიკებთ ამ 22 წლის ჯეელს. მან წლეულს არაერთხელ ირბინა 13 წამზე ნაკლებში, ახლა კი 13,17 იკმარა და პეკინის მეორეადგილოსანი დევიდ ოლივერი (13,02) წინ გაატარა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**100 მეტრის საუკეთესო შედეგები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9,69 | უსაინ ბოლტი (იამაიკა) | პეკინი | 16.08.2008 |
| 9,72 | უსაინ ბოლტი (იამაიკა) | ნიუ იორკა | 31.05.2008 |
| 9,72 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | ლოზანა | 02.09.2008 |
| 9,74 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | რიეტი | 09.09.2007 |
| 9,76 | უსაინ ბოლტი (იამაიკა) | კინგსტონი | 03.05.2008 |
| 9,77 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | ათენი | 14.06.2005 |
| 9,77 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | გეიტშიდი | 11.06.2006 |
| 9,77 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | ციურიხი | 18.08.2006 |
| 9,77 | ტაისონ გაი (აშშ) | იუჯინი | 28.06.2008 |
| 9,78 | ასაფა პაუელი (იამაიკა) | რიეტი | 09.09.2007 |
| 9,79 | მორის გრინი (აშშ) | ათენი | 16.06.1999 |



la vuelta'08
63 edición vuelta a españa

**63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო-21 სექტემბერი**

ბიბლიოთეკა




# გაუშვით, იფრინონ

## ცოტა რამ პეპლების თაობაზე

**ნამდვილი** პეპლები რომ ტკბებიან რამდენიმედღიანი სიცოცხლით, ზუსტად ასეა მრავალდღიან ველოტურებზე ამ სპორტის „პეპლების" ამბავიც. სანამ მთები დაიწყება, ბარის სწორ შარაზე ლიდერობენ ისეთები, რომლებიც მთებში დაასრულებენ ხანმოკლე ბედნიერების პერიოდს, სადაღაც უკან დარჩებიან და საეჭვოა, საერთოდ მოხვდნენ გენერალურ ათეულში...

სანამ ვუელტა პირინეის მთებს მიადგება, პეპლების ხელშია პირველობა. ანდალუზიაში ხაენიდან ისტორიულ ქალაქ კორდობამდე გაჭიმულ მესამე ეტაპზე სპრინტერულ ფინიშში „ქუიქ სტების" ზორბა ბელგიელმა ტომ ბოონენმა „ლიქვიგარის" იტალიელს დანიელე ბენატის აჯობა და ეტაპის გამარჯვება აართვა. მეორე დღეს კი როლები გაიცვალა. კიდევ ერთ არცთუ სწორ, მაგრამ მაინც სპრინტერულ ეტაპზე ახლა ბენატიმ გადაასწრო ბოონენს და ნიშნიც მოუგო. ამ კატათაგვობანას თამაშში იტალიელმა გაცილებით მეტი მოიგო — ჯერ ერთი, რომ ჯერ კიდევ კორდობაში დაკავებულმა მეორე ადგილმა ის საერთო ჩათვლაში გაალიდერა (ეს სწორედ ის ლიდერობაა, მთებში რომ უცილებლად დაკარგავს). კორდობადან პუერტოლანომდე გაჭიმული 170-კილომეტრიანი ეტაპის მოგებით კი ბენატიმ კიდევ რამდენიმე წამით წაიწია ლიდერობაში. ეს მოგება იტალიელისთვის ვუელტაზე კარიერაში მეოთხეა.

მთებში ბენატის ბედს გაიზიარებს და პელოტონში ჩარჩება აწ მეორე ადგილზე მყოფი ბონენი, აი, მესამე ადგილოსანი ალეხანდრო ვალვერდე კი „პეპელა" ნამდვილად არაა და მთებში სიარულისთვის შექმნილი ამ მრბოლისგან გასაკვირიცაა ვაკეში მესამე კაცად სიარული. ზედმეტ ენერგიას ხომ არ ხარჯავს მისთვის უხერხულ ეტაპებზე? ემანდ მთებში არ გაჩერდეს ამხელა ვუელტას ლამის მთავარ ფავორიტად შერაცხული მრბოლი.

ამასობაში მცირე უსიამო ინციდენტი გადახდათ ველოჯგუფის სხვა ცნობად სახეებს. ორი ესპანელი — ოსკას ფრეირე და ტურ დე ფრანსის უფალი ჩემპიონი კარლოს სასტრე, გერმანელ ანდრეას კლოდენთან და კიდევ რამდენიმე ნაკლებცნობილთან ერთად ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე ზედახორაში მოყვნენ და დალეწვას ძლივს გადაურჩნენ. ფინიშამდე მაინც ყველა მიგორდა. ასე რომ, გადაყვეფილ იდაყვებს თუ არ ჩავთვლით, კიდევ იოლად გადარჩნენ. ამჟამად სასტრე საერთო ჩათვლაში მხოლოდ 22 გახლავთ, მაგრამ ლიდერს მხოლოდ 1 წუთით და 14 წამით ჩამორჩება და საგანგაშო არაფერი აქვს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მე-4 ეტაპი. კორდობა — პუერტოლანო. 170,3კმ**

| | |
|---|---|
| 1. დანიელ ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი") | 4 სთ 27 წთ 54 წმ |
| 2. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქუიქ სტეპი") | |
| 3. კოდო ფერნანდეს დელარა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | |
| 4. დანიდო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე") | |
| 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიუქიგასი") | 8 სთ 56 წთ 27 წმ |
| 2. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქიუქ სტეპი") | +22 წმ |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +48 |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | +51 |
| 5. იგორ ანტონ ერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი) | +59 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge